# დროება

## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 252 ხუთშაბათი, 12 ნოემბერი 1909 წ. № 252

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე; მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს არ ვინახავთ, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

ხუთშაბათს, 12 ნოემბერს, სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციის მიერ ქ-ნ ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

### ორი ობოლი

მელოდრამა 5 მოქმედებად თარგ. ა. ცაგარლისა.

წარმოდგენაში მონაწ. მიიღებს სექციასთან არსებულ სცენის მოყვარეთა მთელი დასი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.**

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება შაბათ საღამოს, 21 ნოემბერს. წარმოდგენილი იქნება „ღალატი“ სუმბათაშვილისა და სხვა.

დაბეჯითებითა გთხოვთ საზოგადოებას სხვის ადგილზე ნუ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულიად აკრძალულია. წესიერების დაცვაში, იმედია, თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

რეჟისორი **კ. შათირიშვილი**. ადმინისტრატორი **სვირელი**.

წარმოდგენა № 15. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 15.

**აბონიმენტი 5.**

ხუთშაბათს, 12 ნოემბერს, 1909 წ. ქართულ დრამ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად განახლების შემდეგ პიესა ბარეტისა.

### ახალი მოძღვრება

დრამა 4 მოქმედებად და 7 სურათად

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი; ბ. ნე. ბიერიძისა, მ. ქილარჯიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; პ. მღთაძე; ბ-ნნი: ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ი. გრიშაშვილი, ნ. გვარაძე, ი. ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ზამთელი, კ. მესხი, ვ. მურვანიშვილი, ვ. მატარაძე; ი. ქიქოძე, შ. საფაროვი.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე; პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-დე; გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსად. ახალი პიესა პ. გოთუასი „პარტიის კაცი“?!

მორიგი რეჟისორი **კ. მესხი**. რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე**.

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.**: შინ. და ბავშვ. ყოველ დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიჩოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (100—ნ.—36).

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ს. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—203)

## ზღაპრები ქართლში, კახეთში და ფშავში

შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ

დაიბეჭდა და იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ფასი 2 წიგნისა 1 მან. 50 კ. საწყობი იქვე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Дворцовая, Обществу грамотности. (15—1)

## სამკურნალო ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ბლაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ 1—2 ს.

**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

**ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს

**მ. კიმონტი**—ქირურგ. ავად. 11—12 ს.

**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

**ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**—ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმება. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტერ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. სააავადმ. განყოფ. ლება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—57)

ქ უ თ ა ი ს შ ი

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გ ა ი ხ ს ნ ა**

## სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრ დ. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—41)

**ექიმი ლ. ნ. ოჰანჯანოვი** ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე). (100—ზალ.—58)

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარეთან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-დე.

**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 საათ.

**ბოჟოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი, ყოველ დღე 4—5 საათ.

**ჩუდნოვსკი**—ნერვებ, სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 მ.

**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

**ნოვიცკი**—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2

**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.

**კალამქაროვი**—ბებ., ქალ., ყოველდღე კვირის, გარდა 4—5 საათ.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. 11½—12½ საათ.

**ასპიროვი**—ცხვ. ყელ. ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ, ვასსნარის შრატით. (00—ნ.—115)

**ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი** არჩენს სპეც. ქირურ., სამ., ვნერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ. შედეგი, ბუასილი და სხვ.) დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. ძეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. შაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—44)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—49)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 791. (0—ნ.—104)

**ექიმი ვასილ წერეთელი ქ უ თ ა ი ს შ ი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—46)

**ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—293)

**ექიმი გ. მაგაკიანი შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—6 ს. მიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ზალ.—48)

**ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი**

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (0—33.—101)

## სტუდ.-მათემატ.

ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტისა.

**ამზადებს** მოწაფეებს გიმნაზიის ყველა კლასებისათვის ადრესი: სლეპცოვის შეს. № 3. ე. ფოლავა. (2—541—1)

## სახალხო სახლი

პარასკევს, 13 ნოემბერს იხსნება

**სამუსიკო საზოგადოება,**

რომელიც დაარსდა სახალხო სახლში. გაიმართება ჩაიკოვსკის სახსოვრად

## კონცერტი

მონაწილ. მიიღებენ: ქ-ნი დანილოვა, მინკევიჩი, მარტინკევიჩი, ნავასარდიანი, ნიკოლაევა, სამოილოვა, როჩუპკინა, ბ-ნნი ბუნემოვიჩი. ვალენსკი, ვართანოვი, ვინჩენკო, კაევი, ფალიაშვილი, ტერ დავიდოვი, ცხომელიძე, შ. ბუევი და სხვ.

ხორო და ორკესტრი ზ. ფალიაშვილის და ვინჩენკოს ლოტბაროზით. კონცერტის წინ ტერ-დავიდოვი გააცნობს საზოგადოებას ამ ახალ სამუსიკო საზოგადოების დაარსების მიზანს. მაქსიმოვი წაიკითხავს ბიოგრაფიას ჩაიკოვსკისას.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ფასი 5 კ.-დან 80 კ.-მდე.

ანონსი: 27 ნოემბერს ოპერა „რუსალკა“.

(3-ნ.-2) ადმინისტრატორი **თ. დოლიძე.**


# ახალი ამბავი

✦ **სროლა.** 10 ნოემბერს, ნაშუადღევის პირველ საათზე, ბატარეის ქუჩაზე, ალექსანდროპოლის მაზრელი მიკირტიჩ ჰაირაპეტოვი ჰყიდდა ქათმებს, მასთან მისულა ერთი უცნობი ყმაწვილი და შევაჭრებია, მაგრამ ვერ მორიგებულან. ამ უკანასკნელს წაურტყამს ჰაირაპეტოვისთვის, ხოლო ჰაირაპეტოვს დაუჭერია მისთვის ხელი და დაუწყვია პოლიციელისთვის ძახილი. უცნობს ამოუღია მაუზერის რევოლვერი, უსროლია ჰაირაპეტოვისთვის, მაგრამ ვერ მოურტყავს, და გაქცეულა ბატარეის ქუჩით. შემდეგ შეუხვევია გოგოლის ქუჩისაკენ, იმ განზრახვით, რომ გასულიყო რკინის გზის ხიდ ქვეშ და ნაძალადევში დამალულიყო. როდესაც დაუნახავთ გაქცეული უცნობი ხიდზე მდგომ პოლიციელებს, დაუძახნიათ გაჩერება, თანაც მოუმარჯვებიათ თოფები, მაგრამ უცნობს დაუსწრია და რევოლვერი უსროლია პოლიციელებისათვის. პოლიციელებსაც სროლით გაუციათ პასუხი. უცნობი უკან გაბრუნებულა, ახლა მეორე მაუზერი ამოუღია და დაუწყვია სროლა. ამ დროს ჯარისკაცებიც დაჰხვედრიან და იქვე მოუკლავთ. მოკლულ უცნობს აღმოსჩენია ორი მაუზერის რევოლვერი, ორი პატრონების ჩასალაგებელი და ორიც ყალიბი ათ-ათი პატრონით. მოკლული მიხეილის საავადმყოფოში გაუგზავნიათ, ხოლო ვინაობა კი ჯერ გამოუკვლევიათ. სროლის დროს შემდეგი პირები დაჭრილან: უფროსი უნტერ-ოფიცერი ვორაბიევი, მეისრეები ლესნიკოვი და დემიანოვი, ჟანდარმთა უნტერ-ოფიცერი ი. სვისტუნოვი და თავის საპარიკმახეროსთან მდგომი რაჭის მაზრელი ბართლომე ლომთაძე.

✦ **დავა მამულის შესახებ.** 9 ნოემბერს ტფ. სამოსამართლო პალატაში გაირჩა საქმე ყუმისის მამულის შესახებ. ეს მამული ეკუთვნის თავ. გიორგი ილიას ძე ორბელიანს. ეძავებოდა გრაფინია ბარბარე ნიკოლოზის ასული ლორის-მელიქოვისა. მელიქოვისა თავ. ორბელიანს მართებია 25,000 მან. ამ ვალში სდომებია დანარჩუნება გრაფინიას ხსენებულ მამულისა, რომელიც შეიცავს 1400 დესეტინას, და შესდგება სახნავ ადგილებისა და ვენახებისაგან. ამ მამულს 70,000 მანეთად იგირავდა ტფ. სათავად-აზნაურო ბანკი, მაგრამ ლორის-მელიქოვის ვექილმა განცხადება შეიტანა ბანკში და დაგირავება შეჩერდა. ლორის-მელიქოვის ინტერესებს იცავდნენ ნაფ. ვექ. როხლინი და ნაფ. ვექ. თანაშემწე პაპოვიანი, ხოლო თავ. ორბელიანის ინტერესებს—ნაფ. ვექ. თანაშემწე ანდრონიკაშვილი. პალატამ თავ. ორბელიანის სასარგებლოდ გადასწყვიტა საქმე.

✦ **წყლის ნაკლებობა ნაძალადევში.** ნაძალადევში ძრიელ სწუხან უწყლოობით. ქალაქი ნაკლებ ზრუნავს ამისთვის. ისეთ ტანჯვაში არიან, რომ ზოგი რკინის გზის რეზერვუარიდან ზიდავს წყალს, ზოგი კიდევ ახლად მოშენებულ ტყიდან, ბევრნი უფრო შორიდან, რადგან ახლო წყლის ონკანი არ არის.

✦ **მღვდლის პატივისცემა.** კვირას, 8 ნოემბერს, ნაძალადევში ივერიის მღვთისმშობლის ეკკლესიის წინამძღვარს მ. მიხეილ მახათაძეს მრევლმა მართვა კვერთხი 25 წლის საეკკლესიო მსახურებისათვის და აგრეთვე თანაგრძნობის ფურცელი.

✦ **მკვლელობა.** 10 ნოემბერს არშაკ აპიანცს პოლიციისთვის გამოუცხადებია, რომ რამდენიმე წუთის წინად ზინგერის კომპანიის აგენტმა ალექსანდრე ანანოვმა გამიტეხა სახელოსნო და 60 მან. წაიღოო. პოლიციელებს დაუპატიმრებიათ ხალათოვის დუქანში ანანოვი და წაუყვანიათ უბნის სამართველოში, ანანოვი გასხლეტია ხელიდან და გაქცეულა. მიუხედავად პოლიციელების მოთხოვნისა, ანანოვი არ გაჩერებულა, რის შემდეგაც სამი ტყვიით მოუკლავთ პოლიციელებს.

✦ **კონდუქტორების და ვატმანების საჩივარი.** ტრამვაის კონდუქტორებისა და ვატმანების ვექილს ბ-ნ გვაზავას სასამართლოში 14 საჩივარი აღუძრავს. კონდუქტორ-ვატმანები უსახელო საზოგადოებას ედავებიან 1905 წელს დადებულ პირობების დარღვევის გამო. (ნ. რ.)

✦ **შემოწირულება.** გვთხოვენ დავბეჭდოთ: საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს მოუვიდა შემდეგი შემოწირულებანი: სვით ლუარსაბის ძის იაშვილისაგან—ორი ქვის იარაღი, ბრინჯაოს პატარა ცული, თიხის გატეხილი ჭურჭელი, ლურსმები და სამაჯური ბრინჯაოსი; გერასიმ სოფრონის ძის იმნაიშვილისაგან—ხუცურად დაწერილი „პორფირეს შეყვანილება“; ალექსანდრე ილარიონის ძის მიქელაძისაგან—„წიგნი სძლუართა, თარგმნილი სომეხთა ენასა ზედა დავით უძლეველისა ფილოსოფოსის მიერ და გარდმოღებული სომხურიდან ქართულსა ენასა ზედა დოსითეოს ნეკრესელის მიერ და ფილიპე მღუდლისა (სომხისა).

✦ **საჩივრის უყურადღებოდ დატოვება.** დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს: სენატმა უყურადღებოდ დასტოვა საკასაციო საჩივარი რვა სომხისა, რომელთაც ტფ. სამოსამართლო პალატამ სხვა და სხვა ვადით ტუსაღთა გამასწორებელი განყოფილება გადაუწყვიტა. ამათ ჰბრალდებოდათ ის, რომ 1908 წ. 8 აპრილს მათ განჯის გუბერნიის სოფ. კარტაშევის მახლობლად ნიმში მართლ-მადიდებელ მღვდელს შეაწყვეტინეს ღვთის მსახურება და ნიშიდან გააგდეს.

✦ **გორის საპატიმროს ზედამხედველის საქმე.** 9 ნოემბერს ქ. გორში ტფ. ოლქის სასამართლოს სესიამ გაარჩია საქმე გორის საპატიმროს ზედამხედველად ნამყოფის იაკუბაიტისა. იაკუბაიტს ისა ჰბრალდებოდა, რომ ტუსაღი თავ. გიორგი მაჩაბელი, რომელსაც რაზმის უფროსობა და სტრაჟნიკებზე თავდასხმა ჰბრალდებოდა, სასამართლოში ეტლით წაიყვანა და სალდათები არ გააყოლა; ამას გარდა, სხვა ტუსაღებს ბაზარში სავაჭროდ უსალდათოდ ჰგზავნიდა, ღვინის სმის ნებას აძლევდა და სხვა. სასამართლომ დამნაშავედ იცნო იაკუბაიტისი და დაადგინა, სასტიკი შენიშვნა გამოეცხადოს.

✦ **დაპატიმრება.** სოფ. ნიქოზში (გორის მაზრა) შეიპყრეს სალდათი ვაზნო ბედოშვილი და გორის გამომძიებელს გადასცეს. ბედოშვილს ჰბრალდება 1905 წელს ქრისტეშობისთვეში სხვებთან ერთად შეიარაღებული თავდასხმა სოფ. იგუთში თავად ნიკოლოზ ზაალიშვილის სახლზე და ზაალიშვილის მოკვლა. გამომძიებელს ბედოშვილი გორის სატუსაღოში დაუპატიმრებია.

✦ **წიგნთ-საცავ-სამკითხველო მარტყოფში.** ტფ. გუბერნატორმა ნება დართო ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოებას, დაარსოს ტფ. მაზრის სოფ. მარტყოფში წიგნთ-საცავ სამკითხველო.

✦ **ქალაქის სკოლების მასწავლებელთა ექსკურსია.** ქალაქის სკოლების მასწავლებელთა წარმომადგენლებს თხოვნით მიუმართავთ ქალაქის სამოსწავლო კომისიისათვის—შუამდგომლობა აღძრას კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე. ნება დართოს, რომ მასწავლებელნი გაემგზავრონ საექსკურსიოდ პეტერბურგში 21 დეკემბრიდან 12 იანვრამდე. კომისიას წარმომადგენლებისთვის მოუთხოვნია სია წასვლის მსურველთა და ისიც, თუ ვინ შეასრულებს მათ მაგივრობას 21 დეკემბრიდან 24 მდე და 7 იანვრიდან 12-მდე.

✦ **ლოცვანი აფხაზურად.** როგორც ვიცით, მთავრობამ ეს ერთი ხანია აფხაზური ან-ბანი გამოიგონა და ზოგგან აფხაზეთში წირვა-ლოცვა აფხაზურად შემოიღო. ეხლა, როგორც „კავკ.“ გადმოგვცემს, ლოცვანი და ზოგიერთი საეკლესიო წიგნი, აფხაზურად გადათარგმნილი ეგზარხოსის ნიკონის მიერ დანიშნულ განსაკუთრებულ კომისიის მიერ, უკვე დაუბეჭდიათ და გაუგზავნიათ აფხაზეთში. სულ დაუბეჭდიათ ორასი ცალი ამ წიგნებისა.

✦ **რედაქტორის დაპატიმრება.** ამ დღეებში ქუთაისში დაუპატიმრებიათ გაზეთ „ვარსკვლავი“-ს რედაქტორი ს. ჯინჯველაშვილი, მიზეზი დაპატიმრებისა ჯერ არ არის გამოცხადებული.

✦ **„ნავთის-ჭალა“.** როგორც ვიცით, ნავთლუღში ეგრედ წოდებულ „ნავთის-ჭალაში“ დიდი ხანია ნავთს ეძებენ. ტერ მარქაროვმა მანქანებიც-კი დასდგა და შეუდგა ქვის თხრას. სამოც საჟენზე, რომ დასულან, კლდე დახვედრიათ, ამიტომ ტერ-მარქაროვს თხრაზე ხელი აუღია და მთელ საქმისთვის თავი მიუნებებია, რადგან დარწმუნებულა, რომ იქ ნავთი არ არის. (კ.).

✦ **ჟურნალისტთა საზოგადოება.** ჟურნალისტთა საზოგადოების გამგეობას სამშაბათის სხდომაზე გადაუწყვეტია ახლო მომავალში მოაწყოს რეფერატები, რომ უკეთ გააცნოს საზოგადოებას მნიშვნელობა და მიზანი ამ საზოგადოებისა და მით მეტი წევრები შეიძინოს. რეფერატს წაიკითხავს, სხვათა შორის, ამ საზოგადოების თავმჯდომარე, ნაფიცი ვექილი მ. ო. გრუზენბერგი.

✦ **ქალაქის ტეხნიკოსი.** ქალაქის ტეხნიკოსი მელიქ-ბეგლიაროვი აგერ ექვსი თვეა სამსახურიდან თავისუფალია თურმე და ჯამაგირსაც თავთავის დროზე იღებს. ეს არ უკმარებია და თხოვნით მიუმართავს ქალაქის გამგეობისთვის, ორი თვით კიდევ გამიგრძელეთ თავისუფლებაო.

✦ **ეკლესიის კურთხევა.** როგორც გუშინ ვწერდით, 10 ნოემბერს ალავერდის ეპისკოპოსმა აკურთხა ახლად განახლებული ყოფილი კარის წმ. გიორგის ეკლესია. წირვის დროს დეკანოზმა ნესტორ მაჭარაშვილმა ამ ეკლესიის ისტორიული მნიშვნელობის და დროს შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა. კურთხევას დაესწრნენ: წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარე გ. ყაზბეგი, კნ. მ. სუმბათაშვილისა, თავად-აზნაურობის წინამძღოლი თავ. პ. თუმანიშვილი და სხვანი.

✦ ოქტომბრის განმავლობაში ტფილისში 7 სახლს გასჩენია ცეცხლი.

✦ 10 ნოემბერს ანნა სტრელკოვისას პოლიციისათვის განუცხადებია, მომპარეს ორი ძროხა, თითო ათ თუმნად ღირებულიო. პოლიციას ძროხების ქურდი დარჩო კოშველაშვილი დაუპატიმრებია და პასუხის გებაში მიუცია.

✦ 10 ნოემბერს პოლიციამ დააპატიმრა ტფ. საგენერალ-გუბერნატოროდან ადმინისტრატიულად გადასახლებულნი, მაგრამ თავიანთ ნებით დაბრუნებულნი საფარ ნუნიანცი, გეურქ დარჩოევი, გეორქ ალექსანიანცი და ბაგრატ სარქისოვი.

✦ 10 ნოემბერს სასინოდო კანტორის კანცელარიაში ერთ ცარიელ ოთახში განჯინაში ყოფილა დალაგებული ძველი წიგნები. მოსამსახურეს მ. კ. ხელაძეს ამ განჯინაში გახურებული ნახშირი შეუნახავს, რის გამოც ოთახს ცეცხლი გასჩენია, მაგრამ ცეცხლი შინაური საშუალებით ჩაუქრიათ.

✦ სამშაბათს, 10 ნოემბერს, ნაშუადღევის 12-ნახევარ საათზე, ნაძალადევში, პოსკოპელნის ქუჩაზე, იოსებ მეკვდარიშვილის სახლს ცეცხლი წაეკიდა. დაიწვა ერთი ოთახი. დროზე მიეშველნენ მეზობლები და ცეცხლი ჩააქრეს, თუმცა წყალის შოვნა გაუძნელდათ. სახლი დაზღვეული არ იყო.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

თათბირი ერობაზე დამთავრდა. შემუშავებული რეზოლიუციები გადაეცა ადგილობრივ მთავრობას და ყველამ გული დაიმშვიდა—ერობის საქმემ ჯეროვანი მსვლელობა მიიღოო. რა ბედი ეწევა აქ შემუშავებულ პროექტებს, როგორ შეჰკვეცე-შემოჰკვეცავენ—არ ვიცით.

აქ, ტფილისში, შესწყდა კიდეც მითქმა-მოთქმა ერობაზე. მხოლოდ შორს გარდახვეწილთა წრეები ჩვენს ადგილობრივ საჭირბოროტო საკითხს აუხმაურებია. გაზეთ „ზაკავკ." დაბეჭდილია ბ-ნ ნ. ჩაპოვის წერილი პეტერბურგიდან. ავტორი მოგვითხრობს, რომ ერთ კერძო ბინაზე, რუსის ოჯახში შეკრებილ სომეხთა შორის ჩამოვარდა ლაპარაკი ერობის შესახებ თათბირზე. ამ ბინაზევე იყო სათათბიროს დეპუტატი სალათელიანი. მოვიყვანთ წერილის ზოგიერთა ადგილს.

ლაპარაკი იყო იმაზე, თუ რომელ ეროვნების სასარგებლოდ უფრო დამთავრდა თათბირი, რომლის წარმომადგენლებმა უფრო გაიმარჯვეს. „ნოვ. ვრემიას" კორესპონდენტის ხატერიანის აზრით ერობის თათბირზე ხატისოვმა სრულებით გააქრო დიპლომატი გვაზავაო. ამაზე ბ-ნი ჩაპოვი მოგვითხრობს სომეხ მოხელის აზრს:

„ქართველებმა გაიყვანეს თავიანთი, რაც კი საჭირო იყო. ჩვენ, სომხებს, იმით და შევეძლიან თავი ვინუგეშოთ, რომ ამ თათბირით თვალთ-მაქცობდნენ, ხოლო ერობას ისეთს მოგვანიჭებენ, როგორიც მთავრობასა სურს, მაშასადამე, უმცირესობის უფლებანიც უზრუნველყოფილი იქნებაო. მთავრობა ეცდება რუსის მცხოვრებთა ინტერესების დაცვას და ამავე დროს არ დაივიწყებს სომხებსაც, რათა ქართველების უმრავლესობას კარგა დიდი ძალა დაუყენეს წინა. ხატისოვმა კი არ დასცა გვაზავა, არამედ გვაზავამ გააცურა ხატისოვიც და მისი უფრო სერიოზული და აზრიანი ამხანაგებიც.

ლაპარაკში ჩაერია დეპუტატი სალათელიანიც. ამანა სთქვა:

მე მგონია, რომ არავის არავინ არ მოუტყუებია და არ გაუცურებია. ქართველებისა და სომხების წარმომადგენელნი ერთმანეთში თანახმანი იყვნენ და ამ თანხმობა-სოლიდარობას კიდეც გაუსვეს ხაზი კავკასიის მთავრობის წინაშე. აი, ამას უთვლი დანაშაულად სომხების წარმომადგენლებს"...

სალათელიანის აზრის ნათელ საყოფელად ლაპარაკა ისევ სომეხმა მოხელემ.

ჩვენ დამნაშავედ ვუთვლით ჩვენს წარმომადგენლებს იმაში, რომ მათ გამოიჩინეს მხდალი უგულწრფელობა, რომელიც, სამწუხაროდ, ასე დამახასიათებელია სომხების პოლიტიკისა. მგონი დროა, უკუ ვაგდოთ ეს ძველი ხერხი, რომელიც ბევრჯელ ჩვენსავე საზარალოდ დაგვიბრუნებია. სომხების პირდაპირ ინტერესებს შეადგენდა, რომ კავკასიის მომავალი ერობა აგებული ყოფილიყო პროპორციონალურ წარმომადგენლობით წესზე, რომ ტერიტორიალურ უმცირესობის უფლებანი აღიარებული და დაცული ყოფილიყო. ამ საკითხში ჩვენ ხელი უნდა გაუწოდოთ რუსის ხალხის წარმომადგენლებს. იმათთან უნდა შეგვეკრა მოსაგერიებელი, თავდასაცველი კავშირი. რომლის დაცვა აუცილებელ საჭიროებად გახდება მიმდინარე საკითხთა გადაწყვეტის საერთო მოქმედების დროს. თქვენ საოცრად გეჩვენებათ ეს აზრი, მაგრამ რუსების გადასახლება კავკასიაში ჩვენთვის, სომხებისათვის, სასურველიც არის და სასარგებლოც: კოლონიზაცია უზრუნველ გვყოფს ჩვენ მაჰმადიანთა ძალ-მომრეობისაგან. ჩვენი დემაგოგები, ჩვენი სამასხარაო საზოგადო მოღვაწენი ვერა ჰბედავენ ამის აშკარად აღიარებას. რუსეთიდან გადმოსახლების მხარის მიცემა—ეს ხომ ლიბერალობა კი არა, წმინდა წყლის შავრაზმელობა იქნებოდაო და აი ერის ნამდვილი საჭიროება მსხვერპლად ეწირება პირად თავმოყვარეობას, ყოყოჩობას და სიმხდალეს.. იმის მაგიერ, რომ მხნედ დაეცვათ ნაციონალურ წარმომადგენლობის პრინციპი.. იმის მაგიერ, რომ თათბირზე გამოემჟღავნებინათ აშკარად ის უკმაყოფილება, რომელიც ნამდვილად არსებობს ერებს შორის, ყველა ამის მაგიერ სომხებმა თავი ისე დაანახვეს, თითქოს ყველაფერში თანხმობა და სოლიდარობა არსებობდეს და თითქოს სწყუროდეთ, როდის დადგება ის დრო, როცა მუშაობა დაიწყება. ასეთი ერთობა არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს.

ამ სიტყვებზე ვიღაც რუსი შეჰკითხებია დეპუტატ სალათელიანს: მაშ თქვენ ფაქტად აღიარებთ ქართველებისა და სომხების ანტაგონიზმსა, რაზედაც მას მოუგია:

რასაკვირველია! და ეს არც უნდა დავმალოთ. ეს ანტაგონიზმი დიდიხნისა არ არის. სომხები მუდამ დევნილნი იყვნენ მუსულმანების მიერ. მტერ-მუსულმანთაგან თავის დას ღწევად სომხები საქართველოს მიდამოებში ესახლებოდნენ და იქ იპოვეს იმათ მეორე სამშობლო. ქართველ თავად-აზნაურთა გაღატაკებას თანა სდევდა სომეხ ჩარჩების ქონებრივად გაძლიერება. ეს შედეგი იყო იმ კაპიტალისტურ წარმოებისა, რომელიც კავკასიაში რუსების შემოსვლას მოჰყვა. სომეხთა ხასიათის დადებითმა თვისებებმა — ხასიათის სიმტკიცემ, მოხერხებამ და შრომის მოყვარეობამ ხელი შეუწყეს ქონებრივ გაღონიერებას. ხოლო უარყოფითი თვისებებმა — გაიძვერაობამ, მსუნაგობამ და ხრიკებმა განსაკუთრებული მდგომარეობა მოუპოვეს საქართველოში სომხებს. არც ქართველ თავად-აზნაურობას, არც გლეხობას არ შეეძლო სომხებისათვის კონკურენცია გაეწია. აქედან იბადება ეროვნული შუღლი, ერთიერთ შორის უკმაყოფილება და მტრობაც. პირადად მე მგონია, რომ არ შეიძლება კაცი ქართველი იყოს და არ იყოს აღშფოთებული იმ როლით, რასაც სომხები თამაშობენ საქართველოში. საქმე იმაშია, რომ სომხის ჩარჩები არა თუ ჰყვლეფავენ ქართველ გლეხებს, არამედ კიდეც დასცინიან, მასხარად იგდებენ იმათ სიღატაკეს, უანგარიშობას, დასცინიან და შეურაცყოფენ იმათ ეროვნულ ჩვეულებებს და წმიდა თა წმიდას. ჩარჩი („კულაკი") ყველგან და ყოველთვის საზიზღარია და მით უმეტეს მაშინ, თუ ეს ჩარჩი სხვა ეროვნებას ეკუთვნის. სამწუხარო ის არის, რომ ეს სიძულვილი ეროვნულ ხასიათს იღებს და გადადის მთელს სომხის ერზე, რომელიც სრულებით უდანაშაულოა და მასთან მოშორებულიც ერისაგან მოწყვეტილ ჩარჩებისაგან. ეს ჩარჩები ჩვენი უბედურებაა, ჩვენი საზარალო პარაზიტები...

სალათელიანს ლაპარაკი შეაწყვეტინა სომეხმა მოხელემ და განაგრძო:

ესენი (ჩარჩები) სომხები არიან მხოლოდ სახელით და მეორე იმიტომ, რომ არც ერთი სხვა ერთი იმათ თავისად არა სთვლის. არ ავხირდები—სომხებს ბევრი არა სიმპატიური თვისება ახასიათებთ—ეს თვისებანი ჩვენი წარსულის მემკვიდრეობა... ამიტომ ამ ხალხში ყველა უსიმპატიოს საძაგლობას თავი მოუყრია. ჩვენს ეგოიზმს, წესს გადასულ სარგებლიანობის მოყვარეობას,—ყველა ეს რაღაც განსაკუთრებლად ახასიათებთ მათ. რა იდეალები ასულდგმულებთ ამ ჩარჩ მდიდრებს, რა მისწრაფებანი აქვთ მათ? ბავშვობიდანვე ერთსა და იმავეს ჩასჩიჩინებდნენ. ფული ყველაფერია, იმითი ყველაფერი შეიძლება და აი მემკვიდრენი ჰფანტავენ ფულს და ფიქრობენ ამით მოპოვონ მდგომარეობა, პატივი და ბედნიერება. და, რასაკვირველია, ვერაფერს ვერ იპოვებენ. მე შეუბრალებელი ვარ და ეს იმიტომ, რომ ეს ხალხი ძალ უნებურად ჩემად უნდა ჩავთვალო. ამას გარდა მთელ სომხობაზე ისევე ჰფიქრობენ როგორც ამათზე.

რაც შეეხება ტფილისის თათბირს ერობაზედ — უნდა ვსთქვათ, რომ, სალათელიანის სიტყვისა არ იყოს, ყალბი სიმხდალის გამო, იმის გამო, რომ ნაკლებ ლიბერალად არ გამოსულიყვნენ, სომხის წარმომადგენლებმა არ მოითხოვეს ეროვნულ უმცირესობის უფლების აღიარება სომხებისათვის დიდი საფრთხეა მომავალი ერობა. ტფილისის გუბერნიაში ჩვენ მალე ჩავიყლაპებით და გავილესებით ქართველებში. ჩვენ ვერ დაგვიფარავს ეკონომიური სიძლიერე. ისედაც უნიადაგო სომხების ხელში ეს დაწესებულებანი სხვის გავლენის ქვეშ იქნებიან. ამაზე უნდა გვეფიქრნა, და უნდა გვეღონა რამე, რომ კულტურული ცხოვრება სულ ერთიანად ქართველების ხელში არ გადავიდეს.

# დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან 11 ნოემბერი.

## სპარსეთი

**თეირანი**. არდებილისაკენ მიმავალი ეფრემის რაზმი გაჩერდა ზანჯანში. მოლა-ყურბან ალიმ მცირე წინააღმდეგობა აღმოუჩინა და ბოლოს მთას შეაფარა თავი. მთავრობის ჯარმა აიღო ციხე და შეიპყრო მეამბოხეთა მეთაურნი. მთავრობამ ეს მეთაურნი დააჯარიმა ორასი ათას მანეთით. ქალაქის მოედანზე აღმართეს სახრჩობელა.

## საზღვარ-გარედ

**ლონდონი**. ლორდთა პალატის სხდომას ბევრი გამოჩენილი მოღვაწე და დიპლომატი დაესწრო. ლორდ კანცლერმა სიტყვა წარმოსთქვა და პროტესტი განაცხადა განზრახულ საკონსტიტუციო უფლებების დარღვევის წინააღმდეგ. პროტესტი განაცხადა ლორდთა პალატის მოქმედებაზედაც. ორატორმა სთქვა, არც ერთი ლიბერალური მთავრობა მომავალში არ შეუდგება მართვა-გამგეობას, თუ უზრუნველ ყოფილი არ იქნება ლორდთა პალატის ასეთ მოქმედებისაგანაო.

**პარიზი**. დეპუტატთა პალატა. ჟორესმ მოითხოვა გამოქვეყნება საფრანგეთ-ესპანიის შორის დადებულ საიდუმლო ხელშეკრულებისა. პიშონმა განაცხადა, არსებობს მხოლოდ ყველასაგან ცნობილი ხელშეკრულება, ყვითელ წიგნში გამოქვეყნებული და პალატაში განხილული. ამ ჟამად არსებობს მხოლოდ 1904 წლის ხელშეკრულება და ალჟეზირასის აქტები.

## ჰაერში ფრენა.

**ნიუ იორკი**. დაარსდა ჰაერში მფრინავ რაიტის სააქციონერო საზოგადოება. თანხა საზოგადოებისა ორი მილიონი მანეთია. დამაარსებელთა შორის არიან კორნელი ვანდერბილტი, ავგუსტ ბელმონტი და სხვა მსხვილი კაპიტალისტები. საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ რაიტია.

## რუსეთი

**მოსკოვი**. ბლერიოს მონოპლანი აღარ აფრენილა. ავიატორმა გუიომ მოსტეხა მონოპლანს ფრთა და ვინტი და ვერაფრით ვერ მოახერხა აფრენა. ათი-ათას ხალხს ფული უკანვე დაუბრუნეს.

**ნოვოჩერკასკი**. პიატიიზბიანსკის სტანიცაში ნიადაგი ჩაინგრა და გამოჩნდა ჩონჩხი რაღაც უზარმაზარ ცხოველისა. სიგრძე ჩონჩხისა ორი საჟენია.

**პეტერბურგი**. დაიწყო მრეწველობისა და ვაჭრობის წარმომადგენელთა კრება. შეიკრიბა 400-მდე კაცი. თავმჯდომარედ აირჩიეს კრესტოვნიკოვი. კრებას მიეგებნენ ფინანსთა და ვაჭრობის მინისტრები და მიწათ-მოქმედების მინისტრის ამხანაგი. გზათა მინისტრმა დეპეშა გამოუგზავნა. კრება ოთხ დღეს გასტანს.

**ხარბინი**. მოსაზღვრე ოლქის სასამართლომ გაამართლა გაზეთ „ხარბინისა" და „პოლიტიკის" რედაქტორები, რომელნიც მე-129 მუხლის ძალით სამართალში იყვნენ მიცემულნი.

**მოსკოვი**. ტრიოხგორნის ლუდის ქარხნის მეარტელეს თავს დაეცა სამი უცნობი. წაართვეს ათი ათასი მანეთი. ერთი თავდამსხმელი შეიპყრეს.

**პეტერბურგი**. დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1, ავად არის 83 კაცი.

**ვოლოგდა**. უკანასკნელ კვირის განმავლობაში ხოლერით არავინ გამხდარა ავად.

**მოსკოვი**. ერთი კაცი გახდა ავად ხოლერით.

**პოლტავა**. კრემენჩუგში ხოლერით ერთი კაცი გარდაიცვალა. გუბერნიაში არავინ გამხდარა ავად.

# ახლო წარსულიდან

(სოფლის მეურნეობის საქმე ჩვენში)

თუ თავი შენი შენ გაზლავს,
ღარიბად არ იხსენები!

**რუსთაველი.**

ნამესტნიკად ნამყოფმა თავადმა მიხეილ ვორონცოვმა 1845 წელს, გაიცნო საქართველო, შეიგნო, რომ თავად აზნაურთ ხელთ უჭირავთ ბუნებით ყოველ მხრივ შემკული მამული, მაგრამ არა აქვთ ყველა სამეურნეო დარგი ისე მოწყობილი, როგორც სწავლა-მეცნიერება მოითხოვს; მიჰხვდა, რომ ამ ნაკლის მიზეზი უცოდინარობა და უსახსრობა იყო.

ამ გარემოებას თავადმა ვორონცოვმა დიდი ყურადღება მიაქცია და დაარსა ტფილისში, ავლაბარში, ფერმა სხვა და სხვა მცენარის გასამრავლებლად. გახსნა ტფილისის მახლობლად, სოფელ ლოჭინში, სამეურნეო სასწავლებელი, თელავის მაზრაში, სოფელ კისისხევში, წინანდლის მახლობლად, სადაც ეხლა საუფლისწულო ვენახებია, ვაზის მოვლა-მოშენებისათვის—ფერმა და ღვინის დასაყენებლად და შესანახავად ევროპიულის წესით—მარანი, დაარსა „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება", გახდა იმის თავმჯდომარედ; დაარსა ქართული სამეურნეო გაზეთი „გუთნის-დედა". რედაქტორად სამეურნეო გაზეთისა დაინიშნა ივანე კერესელიძე; თანამშრომლად [illegible] იყვნენ: ივანე [illegible] შვილი, [illegible] შანშიევი, ვიქტორ ნიკოლოზის ძე გეევსკი (აგრონომები) და ცნობილი პირნი ქართველთაგანნი. რადგან რედაქტორს გაზეთ „გუთნისდედისას" და გამომცემელს 1862 წ. ჟურნალ „ცისკრისას" კერესელიძეს მეურნეობისა არა გაეგებოდა-რა, ამისთვის აგრონომი გეევსკი უმზადებდა რუსულ ენაზე სამეურნეო წერილებს. ამ წერილებს, გადათარგმნილს ქართულად, კერესელიძე ჰბეჭდავდა „გუთნის დედაში". გაზეთ „გუთნის დედას" 1862 წ. ხელის-მომწერელი ექვსას ორმოცი (640) ჰყვანდა! იმათ შორის სამოცი მკვიდრი გლეხი იყო. კერესელიძის სიკვდილის შემდეგ „გუთნის-დედის" რედაქტორად იყვნენ: 1871—1872 წლებში გ. წერეთელი და იმის შემდეგ 1872—1873 წლებში ვართანოვი.

თ-მა ვორონცოვმა სხვა და სხვა ალაგიდან გამოიწერა ხილეულობის ნამყენები და ნერგები გამოჩენილ ჯიშისა, ე. ი. ვაზი სხვა და სხვა გვარისა; რიცხვით—74,465 ცალი და ხილეულობის ნამყენები, რიცხვით—15,619 ც., აგრეთვე თესლეულობა: პურისა, ქერისა, სიმინდისა და აბრეშუმის ჭიისა. ყველა ეს თესლეულობა და სხვა გვარ მცენარეებისა და ბოსტნარისა—კარტოფილისა, ჭარხლისა—დაურიგა მკვიდრ მეურნეთ საცდელად და სავარჯიშოდ.

მართლაც, ამ დღიდან საქართველოში გამრავლდა ახალი გვარის ხეხილი. ბარონ ნიკოლაის მამულიდან, ბეთანიდან, ჩამოტანილმა ხილმა—ვაშლმა, მსხალმა, ქლიავმა, ქერამმა და სხვამ—ბაზარში დიდი სახელი მოიხვეჭა, გაითქვა.

მოგზაურობის დროს მაზრებში თავ. ვორონცოვი და მისი მეუღლე მოულოდნელად ეწვეოდნენ იმ მეკომურს, იმ სახლის პატრონს, რომლის ჯალაბობა ვარჯიშობდა აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენებაზე და აბრეშუმის დართვაზე მანქანის ჩარხის შემწეობით. ვორონცოვი მშრომლებს დარიგებას აძლევდა, გულს უკეთებდა და ამხნევებდა. ზოგჯერ საჩუქარსაც აძლევდა.

მოგზაურობის დროსვე თავადმა გაიგო, რომ თავად-აზნაურობა ხელმოკლეობით, უფულობით დიდ გაჭირებაშია და შეზღუდულია, სხვათა

# გზა-და-გზა

**მოთხრობა.**

... მატარებელი გუგუნით მიჰქროდა რუსეთის ტრიალ მინდვრებზე...

გულ-ხელ დაკრებილი ვიდექ ვაგონის სარკმელთან და დაღონებული გავყურებდი თვალ-უწვდენელ სივრცეს, ისლით დახურულ ქოხებს, აუარებელ საყდრებს, ფრთა-გაშლილ და აკოკოლებულ ქარის წისქვილებს.

მატარებელი კი კვლავ მიჰქროდა, კვლავ მიგნულავდა. ერთი და იგივე სურათი და სანახაობა ჩემ ფიქრთა დენას არას უშლიდა და რაც უფრო წინ მივდიოდი, მით უფრო გულზე სევდა მაწვებოდა:

— მშვიდობით, ჩემო ტურფა ქვეყანავ! ვინ იცის, გნახავ კიდევ თუ არა... სხვა არა იყოს-რა ამ ხრიოკ და გამხმარ მინდვრებს, გადმოვლა მაინც აღარ უნდა მეთქი!—გავიფიქრე და მწარედ ამოვიოხრე.

— რასა ოხრავთ, ყმაწვილო, შეყვარებულივით?—დამეკითხა ამ დროს ჩემი თანამგზავრი გრიგოლ პეტროვიჩი. იგი ჩემ მახლობლად სკამზე გაწოლილიყო და ძილისაგან დასიებულ თვალებს იფშვნეტდა.

მივხედე და უაზროდ გავუცინე.

გრიგოლ პეტროვიჩი ზანტად წამოდგა, თავი მოიქექა და სკამზე ჩამოჯდა.

— ძალიან კი გამოვიძინე, თქვენმა მზემ!.. ან კი სხვა რა უნდა გააკეთოს ადამიანმა?.. Скука, братъ, убійственная! ერთი გოგონა მაინც შემომჯდარიყო ამ ოხერა ვაგონში, კაცი ცოტა გაერთობოდა!..

— გოგონა?!.

— დიახ, გოგონა!.. უნდა მოგახსენოთ, ჩემო კეთილო, რომ შინ თუ გარეთ, უქალოდ სიცოცხლე ერთი დაუსრულებელი პროზა იქნებოდა, ისეთი მოსაწყენი პროზა, როგორიც ეს უშველებელი ტიალი მინდვრებია, ან ეს—ათასი ყარტა-ყურტა ხალხით სავსე—ჩვენი ვაგონია. აბა, გახედე ამ მინდვრებს, თუ ერთი ბეწვა სიცოცხლე ეტყობოდეს... აბა, აათვალიერ-ჩაათვალიერე ჩვენი თანამგზავრები, თუ ერთ მათგანს მაინც ადამიანის გამომეტყველება ჰქონდეს!.. მორდვაო, ჩუვაშიო, ყაზანის თათარიო, პერმიაკიო, კალმიკიო, ყირგიზიო, რუსის მუჟიკიო, ციგანიო და ვინ მოსთვლის კიდევ, რამდენი ჯურის ხალხი აქ არ არის, მაგრამ ცხვირს მოვიჭრი, თუ ერთი მათგანს ესმოდეს: „ვინ არის და რა ჰქვიან ამ სოფელში"!.. აბა, შეხედე, შეხედე თუნდა აი, იმას,—ნაზამთარ ბოჩოლას რომ დამსგავსებია!—აღარ ისვენებდა გრიგოლ პეტროვიჩი და თვალებით ერთ ჩუვაშზე მაჩვენა. ჩუვაშს დაჯდომილს ჩასძინებოდა და ჩაწილულ, ჭუჭყიან თავს საცოდავად აკანტურებდა:—რა აზრი იხატება იმის სახეზე? არავითარი! ამ უგვანო ცხოველის ადგილას კი კეკლუცი გოგონა რომ ყოფილიყო, კაცი თვალს აღარ მოაშორებდა. მე ხომ ამ წუთშივე მივიდოდი იმასთან, ნაზად შევეხებოდი მის ხუჭუჭა თმას, მოწიწებით ვეტყოდი: „პარდონ, ქალბატონო! მაგვარის ძილით შესწუხდებით... თუ თქვენი მეზობლები ბრიყვები და ხეპრეები არიან, მე, როგორც განათლებული კაცი, დიდად ვაფასებ მშვენიერთა სქესს და ამიტომ აი, დამითია ჩემი ადგილი, მიბრძანდით და მოისვენეთ-მეთქი. ის გამიღიმებდა, მადლობას გადამიხდიდა და რადგანაც განათლებული ვაჟის სიტყვები ახალგაზდა ქალს ყოველთვის გამოაცოცხლებს ხოლმე, ძილი დაეკარგებოდა... სამაგიეროდ გავაბამდით დაუსრულებელ ტიკტიკს ბუნებაზე, პოეზიაზე... სიყვარულზე... ამასობაში დრო გავიდოდა და ამ მოწყენილობისა და ბლვერია თანამგზავრების მაგიერ ხელში შეგვრჩებოდა მოხიბლული მშვენიერი არსება!.. ხე, ხე, ხე!—ჩაიხითხითა გრიგოლ პეტროვიჩმა, მხარზე ხელი დამკრა, ეშმაკურად თვალი ჩამიკრა და ვაგონის კარაპანში გავიდა...

ბევრი საკვირველი და ახირებული მგზავრი შემხვედრია ჩემ სიცოცხლეში, მაგრამ გრიგოლ პეტროვიჩისთანა უცნაურ კაცს კი პირველად ვხედავდი. იგი გავიცან გზაში, რუსეთისაკენ როცა მივდიოდი და ორი სამი დღის ერთად მგზავრობის შემდეგ, დიდი ხნის ნაცნობებს დავემსგავსეთ. ჩვენი დაახლოვება უფრო იმან გამოიწვია, რომ იგიც ქართველი იყო და ამასთანავე ისეთი ჯურის ადამიანი, რომელთანაც შეკამათება სრულიად მეტი და უმნიშვნელოა. გრიგოლისთანა ხალხს მხოლოდ უნდა აჰყვე და ალაპარაკო...

გრიგოლ პეტროვიჩი ამ ათი-თხუთმეტის წლის წინად წამოსულა საქართველოდან რუსეთში, აქ დაუსრულებია უნივერსიტეტი, აქვე უშოვია სამსახური და ისეც შესჩვევია რუსეთს, რომ შინ დაბრუნებას აღარც-კი ჰფიქრობს...

თუ-კი სადმე ბუნებით უზრუნველი და მხიარული კაცი მოიძებნება, ერთი იმათგანი გრიგოლ პეტროვიჩიც უნდა ყოფილიყო: მთელი გზა ან უდარდელად ეძინა, ან სულ საოხუნჯო ლექსებსა და კუპლეტებს მღეროდა, სულ ქალებსა და არშიყობაზე ლაპარაკობდა, სულ ჭამასმაზე ჰფიქრობდა. თავსატეხი საკითხები მაგრე რიგათ არ ეყურადღებებოდა და მარტო პირად სიამოვნებაზე ოცნებობდა:

სმა-ჭამა დიდად შესარგი დება რა სავარგულია,
რასაც შეჭამ შენია, რაც არა დაკარგულიაო!

ჩაიმღერა ერთხელ და სიცილით დაუმატა: „ჩემს იქით ქვა-ქვაზედაც ნუ ყოფილა და ვისაც სააქაოს რამე დარჩება, დაე იმან იოცნებოს ქვეყნის გარდაქმნაზეო"!

მატარებელი ისევ გამალებით მიგუგუნებდა. ხე-ტყე, მდინარეები და მინდვრები, ქოხები და საყდრები, ბჯები და თავის ზვინები, ნახირი და მენახირეები ტრიალ-ბზრიალით სადღაც უფსკრულში ინთქებოდნენ... მე ისევ ვაგონის ფანჯარასთან ვიყავ აყუდებული და ახლა გრიგოლ პეტროვიჩზე ვფიქრობდი...

თვალ-წინ მედგა მშვენიერი თვალტანადობის, სუფთად ჩაცმულ-დახურული, კოხტად თმა-წვერ შეკრეჭილი, ჩასუქებულ ჩაფრქვინებული გრიგოლ პეტროვიჩი და... მატარებლის გუგუნი იმის უდარდელ და უზრუნველ ხითხითად მომესმოდა...

ათი თუ ხუთმეტი წუთის შემდეგ გრიგოლი კარაპანიდან ისევ ვაგონში შემოვარდა და სიცილით დამძახა:

— ახალი აღმოჩენა, ახალი!.. გინდა გითხრა?—რა თავპირი ჩამოგტირის, ჩემო მეგობარო,—ყური მათხოვე: კარაპანში ფანჯარასთან გავჩერდი და მეც შენსავით გარეთ დავიწყე ყურება:—იქნება ერთი ჩემი საყვარელთაგანი მაინც მომ გონდეს მეთქი... ამ დროს მატარებელმა ერთ სადგურს ჩამოუქროლა. სადარაჯოს კარებთან გამომდგარიყო მარწყვივით მწიფე „მათუშკა" და მწვანე ბაირაღი გამოეშვირნა, მაგრამ ბაირაღზე წინ უფრო მუცელი ჰქონდა გამოშვერილი,—ორსულად იყო. ეს არაფერი. მეორე სადარაჯოს გამოუარეთ და აქაც ქალი იდგა,—ესეც ორსული... მესამე სადარაჯო გავირბინეთ—აქაც ორსული ქალი დავინახე; მეოთხეს გამოუქროლეთ და აქაც კვლავ ორსული დედაკაცი!!.. ხა, ხა, ხა! გამრავლდებიან რუსები მა რა იქნება?! ყოჩაღ, მებუტკეებო, ყოჩაღ!—კუჭკუჭებდა გრიგოლი და თან ხელებს იფშვნეტდა.

სწორედ ამ დროს სხვა სადარაჯოს ჩამოუქროლეთ და ეშმაკად, აკი მართლა ორსული დედაკაცი არ დავინახე!! ისე გულიანათა და ატეხით გადავიხარხარე, რომ ჩემ მახლობლად ვიღაცა მძინარე კაცს გამოეღვიძა და გულ-მოსულმა დამიყვირა:

— ჩავო არიოშ!

მე უფრო სიცილი ამივარდა.

— აზიატი!.. არმიაშკი!...—წაილუღლუღა უცნობმა და გვერდი იცვალა.

— ა ტი ჩუვაშ!—მიაძახა გრიგოლ პეტროვიჩმა.

— ვრიოშ!.. ია პრავოსლავნი რუსსკი ჩელოვეკ!—დაიყვირა უცნობმა და ზეზე წამოხტა. ვეებერთელა, უზარ-მაზარ რუსის გლეხს თმაწვერი გაბურძგვნოდა, თვალები ჩასისხლიანებოდა და სწორედ ჭიანჭველა ნაჭამ დათვსა ჰგვანდა...

გრიგოლ პეტროვიჩიც აიმრიზა, საკამათოდ მოემზადა და ვინ იცის, რითი დასრულდებოდა მათი შეჯავახება, რომ, ბედათ, მატარებელი ერთ დიდ სადგურზე არ გაჩერებულიყო. ხალხი აირია, ახმაურდა, გარედ გასასვლელად ერთი-ერთმანეთს მიეზიდა. ამ ტალღამ მე და პეტროვიჩიც ვაგონის კარაპანში გაგვათრია. გრიგოლ პეტროვიჩი რაღაცას ბუზღუნებდა და გულმოსულად ილანძღებოდა.

ცოტა ხანს ბუფეტში შევედით, წავისაუზმეთ. ვაგონში დაბრუნები-

შორის, ერთი გარემოებითაც, რომელიც აფერხებს იმათ კეთილ-მეურნეობის წარმატებას: იმათი მოსავალი სირაჯებს და ჩარჩებს მიაქვთ მცირე ფასად. გაიგო აგრეთვე, რომ მეურნე მონაა იმ კაცისა, რომელმაც დიდის სარგებლით გაჭირვების დროს ფული ასესხა, ან ვალის გადაწყვეტამდის თავნ-სარგებელში ვენახის მოსავალი ნაკლებ ფასად მსესხებელს გადასცა. თავად-აზნაურობის განთავისუფლებლად გაჭირვებისაგან, აგრეთვე მთელ კავკასიაში მეურნეობის გასაძლიერებლად ვორონცოვმა ტფილისში დაარსა ბანკი, სახლად „Закавказскій приказъ общественнаго призрѣнія“. ამ ბანკს (პრიკაზ), სხვათა შორის, დაესია ჩვენი თავად-აზნაურობაც. დაიწყეს ქალაქისა და სოფლის მამულების დაგირავება და გამოიტანეს დაუბრკოლებლად „პრიკაზიდან“ ფული. ეს ფული მამულის პატრონის ხელში ისე გაჰქრა, როგორც შარშანდელი თოვლი.

აი სათავე, საიდანაც დაიწყო გაძლიერება ჩვენის თავად-აზნაურობის ხელ-მოკლეობისა. „პრიკაზიდან“ გამოტანილი ფული მეურნეობას არ მოჰხმარდა. ფული ბალებს, ჰამასმას, მდიდრულს ტანთ-საცმელს, ბლოტის მაღაზიაში შეკერილსა, და ქეიფობას მოუნდა; მამულები კი დარჩა შეუკეთებელი ისევ იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიაც იყო დაგირავების დროს. ამ გარემოებით ბანკის გადასახადი ფული ბევრმა ვერ შეიტანა და მამული ბანკმა გაჰყიდა.

მამულს მაშინ აქვს ფულის ნდობა, როდესაც მამული წარმატებაშია. იმის მოსავლით მამულის პატრონს თავის დროზე, რიგ-რიგობით, ბანკში თავისი ხვედრი ფული შეაქვს თავნ-სარგებელში. პროფესორი კაუფმანი ამბობს: „საფუძველი ფულის ნდობისა მამულის წარმატებაზეა დამოკიდებული. თუ მამული ტყუილუბრალოდ თავდანებებულია, არ იხვნის, არ ითესება, არ მრავლდება მაზე სარჩოს მომცემი ბალახეული და ხერ-ხარი მცენარე, მაშინ მამულს ღირსება და ფულის ნდობა ეკარგება“. ბანკი მამულის პატრონს იმისთვის აძლევს ფულს, რომ მამული რიგიანად მოაწყოს, რიგიანად აწარმოვოს, თავისი თავი და ოჯახი შეინახოს და წინაშე ბანკისა მოვალეობა პირიანად ასრულოს. უკეთუ მამული ამრიგად იქნება მოწყობილი, მაშინ მამულის პატრონს და თვით მამულს ყოველთვის ექნება ნდობა ფულისა, ბანკისა და კერძო პირისა.

თავადი ვორონცოვი რომ გადადგა თანამდებობიდან, ცოტახნის შემდეგ იმისმა სხვადასხვა სამეურნეო დაწესებულებამ მალე ფერი იცვალა: ავლაბრის ფერმას, ლოჰენის სამეურნეო სასწავლებელს, კასისხევის ფერმას, ღვინის შესანახავ მარანს ბოლო მოეღო.

საშველად თავად-აზნაურთა და მეურნეთა, თუმცა დაარსდა ტფილისში სათავად-აზნაურო ბანკი—ბურჯი ქართველთა ყველა განმანათლებელ განწყობილებისა,—მაგრამ ჩვენს თავად-აზნაურობას ვერა-რა ეშველა: ის ეხლა დიდ გაჭირებაშია. მეურნეს პირში ჩალა გამოეცალა. ვღარა აქვს სახსარი ცხოვრებისა რის მიზეზითაც ბანკში ფულიც ვეღარ შეუტანია და დღითი-დღე მამული ხელიდან ეცლება, ესყიდება. მომავალში იგი გაღატაკებული, უცოდინარობით ვერ მშრომელი, ვერ მომზადებული ცხოვრებისთვის უნდა ძალა-უნებურად მაწანწალად გახდეს.

ზემოდ მოვიხსენიეთ, რომ ხელ-მოკლეობით მკვიდრი მეურნე გატანჯულია; ისეთ მახეშია გაბმული, რომ გონს ვერ მოდის, როგორ დაიხსნას თავი გაჭირებისაგან. ამ მდგომარეობას ბოლო დროს მთავრობამაც მიაქცია ყურადღება და წვრილ კრედიტის შესაქმნელად გამოსცა წესდება, რომელსაც სახელად ჰქვიან, „სამაგალითო წესდება საკრედიტო ამხანაგობისა და შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისა“. ვისაც სურს ეს წესდება დაწვრილებით შეისწავლოს და გაიგოს, იმას შეუძლიან მიმართოს სახელმწიფო ბანკის განყოფილებას ტფილისში, საიდანაც უსასყიდლოდ მიიღებს ქართულ ენაზე დაბეჭდილს ამა წესდებას. **ი. წინამძღვრიშვილი.**

# ბარათაშვილის ლირის მოტივები

(გრიგოლ რობაქიძის ლექციის გამო)

საინტერესოა, როდესაც რომელიმე მკვლევარი თავის გამოკვლევის საგნად რაიმე საყურადღებო მოვლენას იღებს და უფრო საინტერესოა ეს კვლევა, თუ იგი ისეთ ფორმებში ისხმება, რომ შეეძლება ანგარიში გაუწიოს ჩვენი ფართო ბუნების მრავალ მოთხოვნილებას. ადამიანის არსში კი ოთხი შინაგანი ღირებულება მარხია, და ამათ შორის ორს—ინტელექტუალურსა და ესთეტიურ ღირებულებას—განსაკუთრებული ადგილი უნდა მიენიჭოს. როდესაც მიზნად ისახება რაიმეს გამოკვლევა, ყველაზე უწინარეს პასუხს უნდა აძლევდეს იგი ჩვენი ბუნების ამ ორ მოთხოვნილებას, და რაც უფრო დამაკმაყოფილებელი იქნება ეს პასუხი, მით უფრო ღირსეულადა ვცნობთ გამოკვლევას. იგი შესაძლებელია უნაკლულო პასუხს აძლევდეს ჩვენ ინტელექტუალურ მოთხოვნილებას, მაგრამ იმავე დროს სრულებით უვარგისი იყოს ჩვენი ბუნების ესთეტიურ მოთხოვნილების თვალსაზრისით. იმ შემთხვევაში მისი მოქმედების ასპარეზი შეზღუდულია, მისი გავლენა ვიწრო წრით შემოფარგლული. ასეთია კანტისა და ჰეგელის ფილოსოფიური თხზულებანი. მათი გავლენის ასპარეზ სპეციალისტთა ვიწრო წრით იფარგლება.

მაგრამ როდესაც რომელიმე გამოკვლევა ჩვენ ესთეტიურ გრძნობასაც ანგარიშს უწევს, როდესაც ღრმა შინაარსი მშვენიერ ფორმაში იხატება, მაშინ მისი გავლენის ფარგლები ფართოვდება და იგი უფრო აქტუალურ სახესა ღებულობს. ასეთია პლატონისა და ნიცშეს ნაწარმოებნი. აზრი მშვენივრად გამოთქმული უფრო გასაგებია, უფრო წარმტაცია ჩვენთვის და რამდენადაც უფრო მშვენიერია ფორმა, იმდენად უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის ნაწარმოები. მშრალ სიტყვებში აბსტრაქტიულად გამოთქმული აზრი მოსაწყენია და მით უფრო მოსაწყენი, თუ იგი ზეპირ წარმოითქმის, თუ იგი ფართო საზოგადოებაზე უნდა მოქმედებდეს. ფილოსოფიური საკითხები ჩვენი საზოგადოებისთვის რაღაც ახალს წარმოადგენენ და ამიტომ მით უფრო საჭიროა მკვლევარმა მასზე მშვენიერის ფორმით იმოქმედოს. ამიტომ კარგად იქცევა რობაქიძე, როდესაც იგი თავის ლექციებს მხატვრულად წარმოსთქვამს.

რობაქიძის უკანასკნელი ლექცია ქუთაისში („სულიერი დრამა ნიკოლოზ ბარათაშვილისა“ 7 ნოემბერს) ამას გარდა მდიდარია შინაარსით და მშვენიერი ფორმით. იგი მხატვრული დასურათხატებაა ბარათაშვილის პოეზიის მოტივებისა. ამიტომ ვერ მოვსთხოვთ იმას, რისი მოთხოვაც შეგვიძლიან ჩვეულებრივ, აბსტრაქტიულ ხასიათის ლექციისაგან. ჩვენ შევეხებით აქ მხოლოდ ზოგიერთ იმ პრობლემას, რომელსაც რობაქიძის ლექცია იკვლევდა.

არჩილ ჯორჯაძის შენიშვნამ რობაქიძის ლექციის შესახებ ამაოებისა და მარადისობის გრძნობა ქართველ ინტელიგენტურ საზოგადოებისათვის პრობლემად აქცია. მისი აზრი ამაოების გრძნობის და მარადისობისაკენ მისწრაფების წარმოშვების შესახებ ფრიად მარტივია, ჩვენი საზოგადოებისთვის არა უცნობი. გარეშე მიდამო ის საფუძველია, რომელზედაც აღმოცენდების ესა თუ ის მისწრაფება, ესა თუ ის შეხედულება, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არა ხდება: ერთგვარი გარემო ხშირად სხვა და სხვა ლტოლვას, სხვა და სხვა მისწრაფებას აღმოაცენებს; ამიტომ აქ იბადება ჩვენი გონებისათვის რაღაც მიუწდომელი, რაღაც გაუჭვრეტელი, რაღაც ირაციონალური. ამიტომ აქ, შეიძლება მხოლოდ მეტაფიზიკას ჰქონდეს ადგილი, მაგრამ რაიმე საკითხის მეტაფიზიკურად გადაჭრა ჩვენი აზროვნების უძლურების დამამოწმებელი საბუთია. ამიტომ იგი უკუგდებულ უნდა იქმნას. ასეთია ჯორჯაძის აზრი დაახლოვებით.

რობაქიძის შეხედულება საინტერესოა, იგი უფრო დაუცხრომელ, შეუდრეკელ მოაზროვნეს თვისებებიდან გამომდინარეობს. მას არ აშინებს მსოფლიო საჭირ-ბოროტო საკითხები, და მათ წინ მოწიწებითი, მაგრამ უძლურების გრძნობიდან გამომდინარე ignoramis-ს არ წარმოსთქვამს. იგი უფრო მებრძოლი მოაზროვნეა და ილტვის ირაციონალურის რაციონალურად გარდაქმნას, გაუჭვრეტელ გონების ბასრ მხედველობისთვის განსაჭვრეტად. ასეთი ლტოლვა მეტაფიზიკაა; აქედან მჩქეფარე აზრთა ნაკადი აზროვნების მეტაფიზიკური მიმდინარეობაა. მისი შეხედულებაც ფრიად მარტივია. გენიალური პიროვნება აბსოლუტია, ამიტომ ერთხელ და სამუდამოდ მოვლენილი; განუმეორებელი, ინდივიდუალური. თავის ძლიერების წყარო თვითონ მისი ბუნებაა. მის აზრთა სიდიადე, გრძნობათა სიძლიერე, ნების ყოფათა შეუდრეკელობა მისი ბუნების წიაღთაგან გადმოსჩქეფს. ხოლო **საბაბი** მისის სულიერ აქტივობისა, მისის პსიხიურად გაღვიძებისა სხვაგან მარხია, მისს გარემოში. ეს გასაგებია თავის-თავად, ვინაიდან ეს განუმეორებელი აბსოლუტი რაკი ობიექტიური ხდება, სხვისთვის საჭვრეტი, აუცილებლად დროულ და ვრცეულ ისმება. ამიტომ სხვისთვის გამოაშკარავება მისი სიდიადისა ამ დროსა და სივრცის დაგვარად ხდება; მისი პსიხიური ძლიერება, ესა თუ ის აზრი, ან გრძნობა, ან ნების ყოფა სივრცის და დროის ზედგავლენით **აშკარავდება**: იგი ამაოებას სცნობს, თუ კი გარემო საყოფ საბაბს აძლევს, მისი ამაოება შეიმცნოს.

ასეთია რობაქიძის აზრი და ამისდამიხედვით ასეთია ის თვალსაზრისი, რომელიც აშკარადა ხდის მისთვის ბარათაშვილის ლირის მოტივებს.

ჩვენთვის კი არც ერთი და არც მეორე აზრი არ არის ჭეშმარიტების მღაღადებელი: ჯორჯაძის შეხედულება სიმხდალეს იცავს აზროვნებაში.—რობაქიძის აზრიც შეუწყნარებელია. არას ვიტყვით პირველზე: ჩვენ იმ თავიდანვე განვსხვავდებით,—მეტაფიზიკური აზროვნება მისთვის უძლურების გამოაშკარავებაა, ჩვენთვის ძლიერების უტყუარი ნიშანი. დღეს მეტაფიზიკა აზროვნებიდან თითქმის გაძევებულია,—ეს ადამიანის ფილოსოფიურ სულის დაქანცვის ნიშანია; დღეს იგი ხანგრძლივ შრომის შემდეგ ისვენებს და უკან ჰპედავს განვლილ გზას, რომ ანგარიში მისცეს თავის თავს, თუ რა ჰქმნა, რას მიაღწია მან ამ თავის საუკუნოებით შეუჩერებელ მსვლელობაში, ამიტომ ჩვენი ეპოქა ხანაა დადებითი და ისტორიულ ცოდნის შეგროვებისა,—თანამედროვე ფილოსოფიაში ძველ სისტემათა გამოკვლევას, უკვე მიღწეულის ანალიზს ყველაზე უფრო საპატიო ადგილი უჭირავს. მთელი გერმანიის ფილოსოფიის დღევანდელი მდგომარეობა აბა რას ამოწმებს, თუ არა ამ ჩემს აზრს?

მე შევეხები უფრო ვრცლად რობაქიძის აზრს. იგი შეუწყნარებელია მეთქი, ვინაიდან იგი სავსებით ვერა ხსნის მას, რისი ახსნაც სწყურია. იგი ვერა სჭრის ჩვენ საკითხს, ისე, როგორც ჯორჯაძის აზრი უარს ამბობს მის გადაწყვეტაზე. რატომ? იმიტომ რომ რობაქიძის აზრი ბოლოს და ბოლოს ისეთსავე სახეს იღებს, როგორიც მას ჯორჯაძის პირველ წერილის გაგებითა ჰქონდა: რობაქიძის შეხედულება ბოლოს და ბოლოს პსიხიურ ცხოვრების გარემოსაგან დამორჩილებაა, აზრთა და გრძნობათა გარეშე პირობათა საშვალებით განმარტება, ახსნა. მაშ დავამტკიცოთ. რობაქიძის მოსაზრებით, არსებობს გენიალური ადამიანი; მისი პსიხიური სიმდიდრე ერთხელ და სამუდამოდ მოცემულია, ის თვით მისი პსიხიკაა. მაგრამ იგი არ აშკარავდება, არ [illegible]იექტდება, თუ მასზე გარემოს [illegible] იგი მკვდარია, [illegible] რაის მოქმედი [illegible] ლური აზრები, დიადი გრძნობები, შეუდრეკელი ვნებანი, სანამ მასზე გარემო არ იმოქმედებს, სანამ მათ გარემო არ **გააღვიძებს** და თუ კი იგინი ჩვენთვის აშკარავდებიან, იღვიძებენ, ამას ჩვენ გარემოს უნდა ვუმადლოდეთ. ამგვარად პრიორიტეტი აქ გარემოს რჩება, და გენიალურ ინდივიდის გენიალობა მაშინ რაღასა იქმნს, რისი მაქნისია! სადაა იგი გენიალობა, თუ კი იგი არარაობაა უგარემოდ? ნუ თუ მხოლოდ იმაში, რომ იგი განსაკუთრებულ სახიერდება გარემოს ზეგავლენის ქვეშ? ნუ თუ მხოლოდ ამ თავისებურ რეაქციაში? მაგრამ გარემოს პრიორიტეტობას განა აქრობს ეს?! გარემოს პრიორიტეტობა, პსიხიკის პასსივობა,—აი პირველყოფილი შეცოდება რობაქიძის აზრისა, მისი პროტოს ფსევდო. ეს კი პსიხიკის სუბსტანციონალურად გაგებიდან გამომდინარეობს (ისე, როგორც მე ეს თეორია მესმის). პსიხიკა სუბსტანციონალურია და აქტუალური მხოლოდ რაიმეს ზეგავლენით ხდებაო. ასეთია ეს თეორია. ამიტომ იგი ვერრას არკვევს.

ნამდვილად კი პსიხიკა აქტუალურია და არა სუბსტანციონალური, რაიც მხოლოდ გარეშე ბუნებაა, ვინაიდან ეს უკანასკნელი იგივეობის, ენერგიის იგივეობის პრინციპზეა დამყარებული. პსიხიკა კი **შემოქმედების** პრინციპით ხასიათდება. ამას მეხსიერების ფაქტი შეურყევლად ამტკიცებს. ესაა ჩვენი პრინციპი*). მისი უტყუვრობა მისი კვლევაში გამოდგომით აშკარავდება. მაგრამ ყოველი პსიხიკა ორმხრივია: იგი განუს ზღვრელად **შემომქმედია**, მაგრამ იგი იმავე დროს **პასსიურიც** არის იმოდენად, რამოდენადაც იგი რეცეპტიულია, მიმღებია. იგი შემოქმედია, დაუსრულებელი შემოქმედი **აზრთა** სფერაში, მაგრამ რამოდენადაც იგი გარე ბუნებრივ ელემენტთაც—**გრძნებათა და გრძნეულ გრძნობათა** — მატარებელია, რაოდენადაც იგი თავის **გრძნებათა ორგანოების** საშუალებით მდიდრება, იგი პასსიურია. ადამიანის პსი-

*) ამ პრინციპზე ჩვენ აქ ვერ ვისაუბრებთ, ამიტომ ბზლდად ამ შენიშვნით ვკმაყოფილდებით მის გამოკვლევას შემდეგისათვის გადავდებთ.

---

სას, ვნახეთ, რომ ჩვენი ადგილი ერთ შუა-ხნის, მაგრამ კოხტა და მოხდენილ ქალს დაეჭირა.

— ეს მადიანისაა? — წამჩურჩულა გრიგოლმა. მერე ქალს მიუახლოვდა და ღიმილით უთხრა: —პარდონ! ეგ ადგილი დიდი-ხნის დაჭერილია, მაგრამ ჩვენ ისე მოვახერხებთ, რომ ყველანი მოვთავსდეთ...

ქალმა ხმა არ გასცა და განზე გამოიწია. არ იამა გრიგოლის ასეთი მიმართვა. მე გრიგოლს ნიშნი მოვუგე ..

— დამაცა, კაცო, დამაცა! ნახავ, როგორც ავიყოლიებ!

— აჰა, თუ რა დაიჭირო-მეთქი!— სიცილით ვუპასუხე და ჩვენი ბარგის ვითომდა გასწორება დავიწყე.

მატარებელმა დაუსტვინა, ერთი ღონივრად ამოიქშინა და გასწია. ჩვენ სკამზე ჩამოვსხედით. სიჩუმე ჩამოვარდა. გრიგოლ პეტროვიჩი ცმუკავდა, არ ისვენებდა.

— შორი გზა გაქვთ, ბატონო?— შემპარავის ღიმილით შეეკითხა გრიგოლი იმ ქალს.

— რაში გეკითხებათ?!—იწყინა ქალმა და კოპები შეიკრა.

— ისე!—მეტი ვეღარა მოახერხა გრიგოლმა.

— თუ ისე, მაშ თქვენთვის იყავით!—უკმეხად წაიდუდუნა ქალმა, მერე მიიხედ-მოიხედა და, რაკი, სხვაგან ცარიელი ადგილი დაინახა, მოშორებით გადაჯდა, სკამის ზურგს მოეფარა.

მე ფანჯრისკენ მივბრუნდი, პირზე ხელები ავიფარე და ფხუკუნი დავიწყე. სასაცილო სანახავი იყო ამ დროს პირში ჩალა გამოვლებული გრიგოლი...

— შენმა სიცოცხლემ, შეგჭამდი! —წიაძახა ქართულად პეტროვიჩმა.

მე კვლავ ვეცინოდი. გრიგოლმა კი ცხვირი ჩამოჰკიდა და მით თავისი უკმაყოფილება მაგრძნობინა...

მატარებელი თავ-მოგლეჯილი მიჰქროდა. ჩვენი დანჯღრეული ვაგონი კი ბუქნა-კუნტრუშით გადადიოდა რელსიდან რელსზე, გრიალებდა, ცახცახებდა და არეულ-დარეულ ფიქრსა და აზრს გვიკარნახებდა. პეტროვიჩმა თვლემა დაიწყო და მეც რო უდროოდ არ დამძინებოდა, სიჩუმე დავარღვიე.

— გრიგოლ ჩემო, რასა ჰფიქრობ? შევეკითხე.

— რა უნდა ვიფიქრო, კაცო! ლამის ჯავრით გავსკდე... რაზე გამექცა ის ბიკიოტი?!. ჩემ სიცოცხლეში ორი არ მახსოვს ასეთი მაგალითი... არა! ისევ უნდა გამოველაპარაკო... ქალი რაც ინაზება, მით უფრო დამყოლია...

— გამოცდილი კაცი ყოფილხარ, ჩემო გრიგოლ პეტროვიჩ, და, აბა, ჭკუა როგორ გესწავლების!—ვუპასუხე და ორ-აზროვნად გავუღიმე.

— არა, ქალმა როგორ უნდა დამწიხლოს-მეთქი! აღარ ისვენებდა გრიგოლი,—ალბად დავბერებულვარ... ქალები ხომ ერთი თვალის გადავლებით სცნობენ ვაჟკაცს... აი, დედასა, სადა ხარ ჩემო სიყმაწვილევ! ხა, ხა, ხა!—გადიხარხარა გრიგოლმა და განაგრძო:—შენ რო გიყურებ, მაგონდება ჩემი სტუდენტობის ხ.ნა და ვწუხვარ, რომ ისევ სტუდენტი არა ვარ. დიდებული, ჩინებული დრო! ვინ იცის, რა ჯურის ამხანაგი არა გყავს მაშინ, რას არა ჰფიქრობ, რა არ გადაგხდება თავს! ეჰ, ბევრი კარგი დრო გამიტარებია... ბევრი ლამაზი გოგონა ამიცუნდრუკებია, ბევრი კარგი მეგობარი მყოლია და დამიკარგავს... მახსოვს...

აქ გრიგოლ პეტროვიჩი სკამზე წამოწვა, თავი იდაყვზე დააყრდნო და ჩაფიქრდა. ალბად თავი რაღაც საგონებელს მისცა.

— მახსოვს...—მცირე სიჩუმის შემდეგ წამოიძახა გრიგოლმა და ისევ ჩაფიქრდა.

— რა გახსოვთ, გრიგოლ პეტროვიჩ? — შევეკითხე გამღიზიანებელის კილოთი და ვსთხოვე—მოდი და რამე მიამბე თქვენის ცხოვრებიდან.

— ეჰ! რამდენი უნდა გიამბო, ჩემო კარგო!

— ცოტა რამ მაინც...

— მაშ, კარგი! რახანა მთხოვ... დროს მაინც გავლევთ!—ვაგონის რიხინის შესაყუჩებლად აუმაღლა ხმას გრიგოლმა, გასწორდა და განაგრძო:

— ჩვენ საუნივერსიტეტო ქალაქში სულ ოცდა-ხუთი, თუ ოცდაათი ახალგაზდა ქართველი ვიყავით, მაგრამ ერთმანეთს მაინც ისე ვერ შევეძმეთ, როგორც შეჰფეროდა ჩვენის მდგომარეობისა და წლოვანების ხალხს. ჩვენის მოუმზადებლობის ბრალი იყო, თუ საერთო ჩვენის განუვითარებლობისა, პირველადვე ისე ჩიგვნთქა უზარ-მაზარმა და უცხო ქალაქმა, ისე გაგვაბრუა უმაღლეს სასწავლებლის წეს-წყობილებამ, რომ პირველ ხანებში დაკარგული ჰუკიებივით დავფრატუნებდით და არ ვიცოდით, რისათვის მოგვეკიდნა ხელი. სამეცნიერო შრომისათვის ჩვენ არ ყივათ მომზადებულნი და არც, მაინც და მაინც, ისეთი გარკვეული იდეალები ჩამოგვყოლია სამშობლოდან, რომ ამ იდეალებს ჩაკვირვებოდით და მათის მეოხებით შეგვექნა საერთო ნიადაგი შრომისა და მეცადინეობისათვის... საზოგადოდ, აი დალოცვილ რუსეთში და კერძოდ ჩვენ ქვეყანაში, ყველაფერი ყირამალა კეთდება, უცნაურად იწყება და უცნაურადვე თავდება: დიდი, თუ პატარა, ქალი თუ კაცი თავისს თავს არ ეკუთვნის და ყველა ჩვენთაგანი სცხოვრობს ან ალალ ბედზე, ან სცხოვრობს ისე, როგორც მოსწონს „მისს აღმატებულებას, თუ მისს კეთილშობილებას“. რად ხდება ასე, ან როდის მოეღება ბოლო ამგვარ ცხოვრებას, ამისი გამოკვლევა და ახსნა თავზე ხელ-აღებულ მეცნიერთათვის მიმინდვია, მე კი აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ ჩვენც, დავაჟკაცებამდე, ვცხოვრობდით ჩვენის გულ-გონება დახავსებულ დედმამისა, თუ ხეპრე და გაიძვერა აღმზრდელ-მასწავლებელთა ნებაზე და ვიგრძენით თუ არა უცხო ქალაქში თავი თავისუფლად, მაშინვე დავეწაფენით პირად სიამოვნებას, ავყევით ჰაბუკურ სისხლის ჩუხჩუხს, მივენდეთ წუთიერ გულის-თქმას, წუთიერ გატაცებას. სადღა გვეცალა მაღალ იდეალებისათვის, მეცნიერულ შრომისათვის, წიგნებში კირკიტისათვის!.. რა დარჩენია გალიიდან განთავისუფლებულ ჩიტს, თუ არა მუდამ ნავარდი, თავსბრუ დამსხმელ სიმაღლიდან დაბლა სრიალი და შავ-ბნელ უფსკრულიდან მაღლა აფრენა! იმ დროს ჩვენც გალიიდან განთავისუფლებულ ჩიტებსა ვგვანდით!..

„სხვისა არ ვიცი, მაგრამ ჩემის რწმენით კი ადამიანის პიროვნების გარეშე სხვა არა არსებობს-რა. ვიდრე ცოცხალი ხარ, ისე მოაწყე შენი ცხოვრება, რომ სხვის ხელის შემაყურებელი არ იყო... სხვისი თავით არა ჰფიქრობდე და სხვისი ნებით არ ხელმძღვანელობდე, ვინაიდან ქონებრივი მონობა უფრო ძნელი ასატანია, ვიდრე ფიზიკური. იდეალისტობა, სხვისთვის თავის განწირვა ჩემდა-თავად დიდ სისულელედ მიმაჩნია. ან კი რა დიდი დღე ჩვენა გვაქვს ამ ოხერ წუთი-სოფელში! ბევრი, ბევრი ორმოცი, სამოცი წელიწადი!.. მერე ჩაკვდები სადმე, მიგაყრიან შავ-მიწას, ცოლიც მალე დაგივიწყებს, შვილიცა, თვისიცა, ტომიცა და ცხოვრება კი თავისი გზით წავა!.. შეიძლება ეს უკუღმართი აზრიც იყოს და თუ მე და ჩემისთანები მართლა უკუღმართები ვართ, ჩვენი ცოდვა ზიდოს იმ საზოგადოებამ, იმ წეს-წყობილებამ, რომელმაც ჩვენ გვშობა ასეთებად!.. მაგრამ, უკაცრავად, ამ ჟამად მგონი უხეირო მქადაგებელს დავემსგავსე, თუმცა ნურც ის გეგონება, რომ „დაწყევლილ საკითხებზე“ არასოდეს არ მეფიქროს. მიფიქრია, როგორ არ მიფიქრია, მაგრამ ამგვარმა დაფიქრებამ კუჭის მოშლა, ჯანის გატეხა იცის და ამიტომ ვერიდები!.. ხა, ხა, ხა!—გაიცინა გრიგოლ პეტროვიჩმა და ზეზე წამოდგა:—დიახ, მე მრწამს მხოლოდ პირადი სიამოვნება, პირადი ბედნიერება!!.

„ამავე აზრისანი იყვნენ დანარჩენი ჩემი ამხანაგებიც. გარეშე ლექციების დასწავლისა და ისიც საყველპუროდ, კოხტად ჩაცმა-დახურვისა და სიამოვნებით დროს გატარებისა, სხვა არა გვეფიქრებოდა-რა. სხვას არას დასდევდნენ ჩვენი ამხანაგი ქალებიც—კურსისტკები და ერთმანეთში არეული მთელი ქვეყანა გაგვქონდა და გამოგვქონდა!..

მატარებელმა სიარულს უკლო და გაჩერდა. გრიგოლმა ლაპარაკი შესწყვიტა და ბუფეტში მიმიწვია.

მე უარი ვუთხარი... გრიგოლი გაგულისდა და მარტო თითო წავიდა.

**ია ეკალაძე.**

(შემდეგი იქნება).

ხიკა ამგვარად ორდება. იგი ორ მოწინააღმდეგე მიმდინარეობის წარმომადგენელია: შემოქმედ გონებისა და პასსიურ გრძნებისა. ამიტომ ადამიანი, რაოდენადაც იგი შემოქმედია,—**აბსოლუტია**, მაგრამ რაოდენადაც იგი გრძნეულია და ამიტომ პასსიური, იმოდენათაა იგი **განსაზღვრული**, შემოფარგლული, შეზღუდული, ამიტომ უძლური და **დროული**. აი სწორედ ამიტომ იბადება ადამიანის შინაარსში ბრძოლა და ამ ორ მოპირდაპირე მიმდინარეობის შორის. ეს ადამიანის ბუნების დრამაა, დრამა გადაუვალი, და ეს დრამა, ჩემი აზრით, მსოფლიო ისტორიულ განვითარების შინაარსია. იგივე დრამა მხილდება ყოველ ადამიანის ბუნებაში და იმოდენადაა იგი ძლიერი, რაოდენად დიდია პირდაპირობა ამ ორ მიმდინარეობის შორის ადამიანის პიხიკაში. ეს პირდაპირობა-კი მით უფრო ღრმავდება, მით უფრო ძლიერდება, რაც უფრო შემოქმედია რომელიმე ინდივიდის გონება, რაც უფრო აქტიურია იგი და გრძნება გრძნეული. ეს-კი გენიალურ ადამიანთა დამახასიათებელი თვისებაა, ვინაიდან გენიალობა ძლიერი შემოქმედებაა და ულრმესი გრძნება. გენიალური ადამიანები ამგვარად უმაღლეს წერტილამდე წარმოადგენენ ამ დრამას, და ბარათაშვილის სულიერი დრამაც ერთ-ერთი სახეა ასეთის დრამისა. იგი გრძნობს მსოფლიურ არარაობას, რადგანაც იგი ღრმად იგრძნებს; მისი ძლიერი სულის შემოქმედებითი ელემენტი იბოქვება მისი გრძნებითა და, ვინაიდან გრძნებანი გარე ბუნებრივ ელემენტს წარმოადგენენ ადამიანის ბუნებაში, მის შეზღუდულებას აშკარავებენ, მის შემოქმედ თავისუფალ სულის გარე ბუნებას მიაჯაჭვებენ. ამიტომ იგი ძლიერად გრძნობს წუთისოფლის ცხოვრების არარაობას, მის დაწყევლილობას. ყველა ეს იმიტომ, რომ, ვიმეორებ, იგი გრძნებანი გარე ბუნებრივი, მსოფლიური ელემენტები არიან ადამიანის შინაარსში და ამიტომ მის აბსოლუტურ ელემენტს, თავისუფლად შემოქმედ გონებას ბოჭვენ, ფარგლავენ. ეს მუდმივი დრამა ადამიანის არსისა, მისი შინაგან ბუნებისა **შინაურია** და მას გარეშე მოვლენებთან არავითარი კავშირი არ აერთებს. ამიტომ შემცდარია ის აზრი, რომელიც მიზეზობრივ ხსნის რომელიმე ადამიანის გულის კვეთებას, მას პესსიმისტურ ლტოლვილებას, რომელიც გარემოს თვისებებს უქვემდებარებს ტრაგიზმს ადამიანის ბუნებაში. მაგრამ არა ნაკლებ შემცდარია ის შეხედულებაც, რომელიც გარემოში სჭვრეტს საბაბს ამ დრამის, ამ ტრაგიზმის **გალვიძებისას.**

**დ. უზნაძე.**

(დასასრული იქნება)

# მოწერილი ამბები

**ევლახი.** ვინ არ იცის, რა ჭაობიანი და ციებ-ცხელებიანი ადგილია ევლახი. რაც უნდა ჯანმრთელი აგებულებისა იყოს ვაცი, არ შეიძლება არ გაიციოს აქ; თუ არ გაიცივა, სხვანაირად მაინც იმოქმედებს სხეულზე აქაურმა ციებამ თუ დარია კაცს ხელი, მერმე მორჩენა ძნელია. ციებ-ცხელებისა და სხვა და სხვა სენის გაძლიერებას, კოღოების გამრავლებას, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს აქვე ახლო მდებარე ტბა, რომელიც მეტად მყრალ სუნს უშვებს, მეტადრე მცირე ქარმა თუ შემოჰკრა.

ადგილობრივი მცხოვრებნი კმაყოფილნი იყვნენ წლევანდელ წელიწადით, რადგან ამისთანა კაი მოსავალი ჯერ არავის არ ახსოვს. მართლაც და არა ჩვეულებრივი ამინდები იდგა და კოღოც ძლიერ ცოტა იყო. ევლახს ორი ვერსის მანძილზე უვლის მდინარე მტკვარი, წყალდიდობის დროს, როდესაც კალაპოტი ვერ იტევს, წყალი ედება მთელს მიდამოს და ჩადის ტბაში. მცხოვრებთა აზრით, ეს ამრავლებს კოღოებს და სენსაც აძლიერებს. თუმცა წელს მტკვარი არ ადიდებულა და კოღოც ძლიერ ცოტა იყო, მაგრამ ციებ-ცხელებას მაინც თავისი არ მოუშლია. ხუთ კაცს ვერ ნახავთ, რომ არ აციებდეს, დიდი და პატარა, ყველა უფერული, გაყვითლებული და დასუსტებული. რკინის გზის მოსამსახურეების საცხოვრებელი შენობები, ამ ტბის სიმყრალის შიშით, მოშორებით რომ იყოს აშენებული, ბევრი მოხედე გადარჩებოდა სენს. სასმელი წყალი მეტად ცუდია. აიღებთ თუ არა ფინჯანს წყლით და გაჭხედავთ, შიგ დაინახავთ აუარებელს მწვანე—ყვითელ მრგვალ რაღაცეებს, რომელნიც დასცურავენ წყალში. თუმცა ბევრჯერ იყო ამაზე ლაპარაკი და ჩივილი, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია და ხეირიან წყალს დღესაც მოკლებულნი არიან აქაურები.

დიდ რკინის გზის მოსამსახურენი ცუდ მდგომარეობაში არიან ჩაყენებულნი. მიუხედავათ იმისა, რომ ბევრნი არიან და გასართობი მაინც არაფერი აქვთ, უბრალო სამკითხველოც არ არსებობს. გასართობად მოსამსახურეებმა გააკეთეს ერთი ნავი, მაგრამ ამ ნავმა დიდი უსიამოვნება გამოიწვია და დამთავრდა „არც შენ და არც მე“-თი. ერთ დროს აქ თეატრის დაარსებაც განიზრახეს, კრება გამართეს, ამ სიმპატიურ დაწყებას ყველა აღტაცებით შეეგება. ინიციატორობა იკისრა უფროს ორმა კაცმა. მოსამსახურეების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ განვლო აგერ 4—5 თვემ და არც ფული სჩანს არც თეატრი და არც მისი ლანდი. აქაურ დეპოში 100-მდე კაცი იქნება, სადგურზედაც 80-მდე, შეერთებულის ძალით და აგრეთვე ადგილობრივ მცხოვრებთა დახმარებით კარგად შეეძლოთ სასურველ საქმეების შექმნა, მაგრამ თავს არავინ იტკიებს. თუ ირთობენ თავს, ისევ ნუნუათი.

მაგრამ გართობა არც ისე იაფად უჯდებათ. მთელს ევლახში არსებობს ერთად-ერთი სასმლის დუქანი, რომლის პატრონი ერთი-ორად ტყავს აძრობს ხალხს, თუმცა დაბალ ღირსების საქონელსა ჰყიდის. შარშან აქ 5—6 დუქანი იყო, მაგრამ წელს გამოურკვეველ მიზეზებისა გამო ერთი შემთხვევით სარგებლობს და მცხოვრებნი ხელში ჰყავს. „გინდა წაიღე, თუ არა და წადი“-ო. სად უნდა წავიდეს კაცი? იძულებული ხარ ერთი-ორად გადიხადო.

ზევით უკვე ვთქვი, რომ ევლახის არე-მარეზე პურის მოსავალი, შედარებით სხვა წლებთან, წელს ძლიერ კარგი იყო. ფუთი ხორბალი დაწყებული 70 კაპ.—1 მანეთამდის ადის ჯერ. საუბედუროდ, მცხოვრებლებმა სიიაფისა ვერა გაიგეს-რა: პურს როგორც ქალაქებში, ისე ჰყიდიან, გირვანქას 4—5 კაპ., ძროხას ხორცი—10 კ., ცხვრისა—16—18 კ. ხშირად ნიხრი ამაზე ზევითაც იწევს ხოლმე. არც ღვინის მოსავალს ემდურიან. თევზის მოიჯარადრენი წელს დიდად გულ-ნაკლულად დარჩნენ, რადგან მტკვარში წყალი ძლიერ ცოტა იყო და თევზი ძლიერ ცოტა შედიოდა ზღვიდან. ამან ფასებზედ გავლენა იქონია და თევზი ძვირობდა.

ზოგიერთი ადგილის ჰავის უვარგისობამ გადმოსახლებულ რუსის ბევრი ოჯახი დააფრთხო. ბევრი ისევ უკან გაეშურა, თავის სამშობლოსკენ. შემთხვევა მქონდა მენახა როგორც ახლად მოსული რუსის ოჯახები, ისევ უკან დაბრუნებულნი, უკმაყოფილონი თავიანთ ბედისა. მთავრობა დიდ დახმარებას უწევს: თითო ოჯახის კაცს წამოსვლაზე ეძლევა 100 მანეთი. მგზავრები იაფ ტარიფით სარგებლობენ და სხვა. მაგრამ, მეორეს მხრით, ვერ წარმოიდგენთ, რა აუტანელ მდგომარეობაში ვარდებიან გადმოსახლებულნი. უმეტეს ნაწილად მოდიან უსტ-დაბინსკაიადან. ვაგონებიდან გადმოსვლისას ფერ-ხორცზე კარგად არიან. თავიანთ გადმოსახლებაზე ასეთ პასუხს აძლევენ: „რა ვქნათ, ჩემო ძმაო, უთუოდ წარმოდგენა გექნებათ თუ რა არის კაცისთვის სამშობლო და რას ნიშნავს მისი მოშორება, მაგრამ მეტად აუტანელ მდგომარეობაში ვართ: მაწა სულ ცოტაა, გადასახადებს ვერ აუდივართ, სახნავ-სათესი უმეტეს ნაწილად „გასპადების“ ხელშია, ესენი კი დიდ ფულს გვახდევინებენ. ეხლა ჩამოვსულვართ კავკასიაში, მთავრობა გვპირდება დასახლებას და მიწა-წყალს და თუ ღმერთმა მოიხედა, შეიძლება შიმშილით არ დავიხოცნეთო“. მოდიან და მოაქვთ ფიცრები ქოხის დასადგმელად და სხვა-და-სხვა მანქანები მიწის დასამუშავებლად. გადმოსახლებულები უმეტეს ნაწილად მიემურებიან ჯიბრაილის მაზრაში, შუშისკენ და უმცირესობა-კი—ნუხასა და ტერტერში სახლდება. ევლახს შუშა ახლავს 105 ვერსის მანძილზე, ნუხა 66 ვერსზე, ტერტერი-კი 41 ვერსზე. აქ სცხოვრობენ თათრები, სომხები და მალაკნები. ზოგნი შუშის იქითაც გადიან. ზოგჯერ 2—3 თვე არ გავა, გაიხედავ და გადმოსახლებულნი უკან მიდიან სადგურზე. გაუყიდნიათ ქოხები, სხვა და სხვა ნივთები და დალონებული მიემურებიან თავიანთ სამშობლოსკენ. ეკითხები, რა იყო ან წასვლა, ან მოსვლა. ამოიხვრებს, ხელს გაიქნევს და გიპასუხებს; „მიწა არ ვარგა, წყალს ახლო-მახლო ვერ იშოვნი... აქაურ სიცხეებს ვერ გაუძლებით“-ო,—და სხვა ასეთ მიზეზებს ჩამოგითვლის.—დავიღუპეთ: რაც გვქონდა, შევჭამეთ და ეხლა ხელ ცარიელნი მივდივართ, რა არის ჩვენი საშველი. მივდივართ, მაგრამ თვალ ახვეულნი, სად—ჩვენ თითონ არ ვიცით. მივაშუროთ სამშობლოს, იქ რა დაგვრჩენია! რაც გვქონდა, დავყიდეთ, სიარულში დავხარჯა ყველაფერი და დღეს არაფერი გაგვაჩნიაო“. ზოგნი რჩებიან 1—2 წლამდის, მაგრამ ისინიც ჰავის აუტანლობის გამო ვერ სძლებენ და მიემგზავრებიან სამშობლოსკენ. საცოდავი სანახავები არიან: დიდი და პატარა გაყვითლებულია, გამხდარი, ღონე მიხდილი. ხშირად დედა კაცები და ბავშვები ფეხშიშველნი არიან, დახეულნი უსუფთაო ძველძველ ტანისამოსში. ბებრები ჯოხებით ხელში სისუსტისაგან ძლივს დადიან. ასეთ ტანჯვაში აგდებენ ამ საცოდავებს ისინი, ვინც მათ აქეთკენ ჰგზავნიან დასასახლებლად.

**ი. კოხრეიძე.**

# თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.** კიდევ მშვენიერი წარმოდგენა. ბევრჯერ გვინახავს ქართულ სცენაზე ა. ყაზბეგის 5 მოქმედებიანი ისტორიული დრამა „ქეთევან წამებული“, რომელიც წინად „კონსტანტინე ბატონიშვილის“ სახელით იდგმებოდა, მაგრამ ასე მოხდენილად, ასეთის ანსამბლით დადგმული ჩვენ არასოდეს არ გვინახავს. ქ-ნი ნ. დავითაშვილის ასული ქეთევან დედოფლის როლში საუცხოვო იყო. სათნო და ლმობიერი იყო დავითაშვილი მეორე სურათში, მომხიბლავი—მესამეში, როდესაც აფრიალებულის დროშით სცენაზე შემოვარდება და დროშას მამუკას (კობახიძე) აბარებს. გრძნობიერი — მეოთხე სურათში, თავის შვილს, თეიმურაზს (ე. ანდრონიკაშვილის ასული) რომ ეთხოვება, და რიხიანი და გამბედავი—მეხუთე სურათში, სადაც ამაყს, გულზვიადს, მრისხანე შაჰსაც-კი თავს ახრევინებს და სალამს მანამდის არ აღირსებს, სანამ უკანასკნელი თვითონ არ ჩამობრძანდება ტახტიდან და პირველი არ მიესალმება, როგორც სტუმარს.

მშვენიერი კონსტანტინე იყო ბ-ნი გუნია. ახოვანი, რიხიანი, დარბაისელი, მეტად მოხდენილად ჩაცმული. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მან განსაკუთრებით მეექვსე სურათში, სადაც კონსტანტინე სულიერად იტანჯება, სინიდისის ქენჯნას განიცდის, როგორც სამშობლოს მოღალატე, სჯულის გამომცვლელი, ძმისა და მამის მკვლელი.

კარგი იყო ბ-ნი ყალაბეგიშვილი ხევსურის გორჯასპირის როლში: ძველს ჯაჭვის, ჯავშან-ჩაჩქანსა და თოფ-იარაღში ჩამჯდარი, ლომ-გული, ნამდვილის ხევსურის კილოთი იგი ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებლებზე.

ყველას მოეწონა ქ-ნი ანდრონიკაშვილის ასულიც თეიმურაზის როლში, განსაკუთრებით, როდესაც იგი დედას ეთხოვება.

სუსტი შაჰაბაზი იყო ბ-ნი შ. დადიანი: აკლდა შაჰაბაზის მრისხანე ცეცხლი. სუსტნი იყვნენ აგრეთვე ბ-ნი კორიშელი—შერმაზან ჩოლოყაშვილი—და ა. მურუსიძე—ქაიხოსრო ომანიშვილი. ძლიერ სუსტობდა და მიხვრა-მოხვრა უძნელდებოდა ზოგიერთ სტატისტს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შაჰის ჯართან შეტაკება ძლიერ მალე გათავდა.

წარმოდგენას დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

კვირას, 15 ნოემბერს, დრამატიული დასი წარმოადგენს შილლერის „მარია სტიუარტს“.

---

**ქართული თეატრი.** დღეს ქართულ თეატრში მიდის მეხუთე საბონიმენტო წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება ცნობილ პოლონურ მწერლის გ. სენკევიჩის რომანიდან გადმოკეთებული დრამა „ახალი მოძღვრება“, პიესაში მონაწილეობას იღებს მთელი დასი.

---

**სახალხო თეატრი.** ზუბალაშვილების სახალხო თეატრში დღეს, სალამოს 8 საათზე, ქართულ სექციის მიერ წარმოდგენილი იქნება ფრანგულით ნათარგმნი 5 მოქმ. და 7 სურათიანი მელოდრამა „ორი ობოლი“. ფროშარის როლს შეასრულებს ქ-ნი ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა.

# უცხოეთი

**იტოს მოკვლა.**

იტოს მოკვლის შესახებ გამოძიება დამთავრდა. გამოირკვა, რომ მკვლელობა მოწყობილი ყოფილა კორეის ერთ საიდუმლო საზოგადოების მიერ. ოცდა ათი კორეელი ბრაუნინგებით შეიარაღებული სდარაჯობდა იტოს რკინის გზას ლიანდაგზე. ეს კორეელები იტოს მისდევდნენ სადგურიდან სადგურამდე და მოხერხებულ დროს ელოდნენ თავიანთ მიზნის შესასრულებლად.

**კაცობრიობის წარმომადგენელთა კონგრესი.**

საერთაშორისო ეთნიურ კავშირების საზოგადოებათა მიერ არჩეული საერთაშორისო კომიტეტი უკვე შეუდგა კაცობრიობის წარმომადგენელთა კონგრესის მოწყობას. კონგრესი მოწვეული იქნება 1911 წელში, და აზრადა აქვს ხელი შეუწყოს დასავლეთის ხალხების აღმოსავლეთის ხალხებთან დაახლოვებას. უნდა გამოირკვეს და რამდენადაც შეიძლება, უნდა გადასწყდეს ერთა მთავარი საკითხები და მისწრაფებანი; უნდა დაწესდეს მეგობრული დამოკიდებულობა ცალკე ერთა და ხალხთა შორის და აგრეთვე უნდა მოეწყოს საერთო მუშაობა ყველას სასარგებლოდ. დიდი ყურადღება მიექცევა საზოგადო ინტერესებს. ეს ინტერესები ხშირად სადაო არის ხალხთა შორის. იაპონელებს, ჩინელებს, ოსმალებს, სპარსელებს და ინდოელებს თავისი საკუთარი კულტურა აქვთ და ყველა, რასაკვირველია, მოითხოვს თავის ცხოვრების ფარგლებში განვითარებას. დიდი ყურადღება მიექცევა აგრეთვე იმას, რომ ხალხთა სურვილი დაკმაყოფილებული იქნეს და ყველგან დამყარდეს კონსტიტუციონალური წესწყობილება, რომელიც საუკეთესო საშუალებაა ყველა პოლიტიკურ სენისაგან განსაკურნებლად.

**სპარსეთის ამბები.**

მთავრობის ჯარი უკვე შევიდა არდებილში. თეირანიდან გამოგზავნილი ჯარი რაშიდ-ულ-მულკისა და თეირანის პოლიცმეისტერის ეფრემის მეთაურობით არდებილს ჩამოვიდნენ და აზრად აქვთ შეუერთდნენ ნამინში მყოფ სარდარმოდიმის რაზმს. იქიდან შეერთებული რაზმი გაემართება შახსევანელებთან საბრძოლველად.

**ინგლისის პრესა ინდოეთის ამბებზე.**

ლონდონში უკვე მიიღეს დაწვრილებით ცნობები ინდოეთის ვიცე-კოროლის მოკვლის განზრახვის შესახებ. ირკვევა, რომ მხოლოდ უბრალო შემთხვევამ გადაარჩინა სიკვდილს ვიცე-კოროლი. გაზეთები აღნიშნავენ, რომ მოკვლის განზრახვა თან მოჰყვა ინდოეთში ახალ კანონების ცხოვრებაში გატარებას. გაზეთი „დეილი ტელეგ.“ სწერს, ინდოეთის ნამესტნიკმა დ უყოვნებლივ უნდა ჩააქროს აჯანყება დიდის სისასტიკით და დროს დაუკარგავადო. „დეილი ნევ.“-ში სწერია—თუ ინდოეთის მთავრობა რეპრესიულ ზომებს მიმართავს და სისასტიკეს გაამეფებს, ინდოელ რევოლიუციონერების სასურველ შედეგამდე მიაღწევსო. „ტაიმსი“ ამბობს, ვერავითარ ტერრორისტულ აქტს ვერ შეუძლია შესცვალოს მთავრობის გადაწყვეტილება და ხელი აადებინოს რეფორმების ცხოვრებაში გატარებაზე. ფაქტია, რომ ანარქიული მღელვარება არსებობს ინდოეთის მთავრობის მოხელეთა წინაალმდეგ, მაგრამ გაზეთის აზრით, ანარქისტები მიზანს ვერ მიაღწევენ ინგლისის მოხელენი უშიშრად განაგრძობენ თავიანთ მოვალეობის აღსრულებასაო.


# განცხადებანი

ქირურგიული, ქალთა, სამკურნალო დოქტ. ნაკაშიძისა

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ :**

**ბ. ა. ნაგახარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**უ. მ. ჩიქოფანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—1¼ ს. შინ. და ბავშვ.
**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**ს ა ლ ა მ ო თ ი :**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარცინკევიჩი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნაგახარდიანი.**

(წ.—1—214)

---

**ექიმი** ე. ს. **ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში**

იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—6)

---

# ყვირილაში

„სორაპანის“ წიგნის მაღაზიაში იყიდება

## აკაკის კრებული

სრულის წლის კომპლექტი 1 მან. 50 კაპ. ვისაც სურს, შეუძლიან მიმართოს ყვირილაში „სორაპანის“ წიგნის მაღაზიას.

(5—6.—2)

---

საუცხოვო ახლად მოწყობილი

## სახელოსნო მკერვალ ქ ა ლ ე ბ ი ს ა

ვიკვეთავთ ყოველნაირ ტანისამოსს ქალებისას და ბავშვებისას, ძალიან დაკლებულ ფასებში, სუფთად და სიჩქაროდ. ადრესი: ხაზინის (კაზნიჩეისკის) ქუჩის კუთხეში, სომეხთა სემინარიის პირდაპირ, № 2, სახლი თუმანოვისა—ეკ. იმნაძესთან.

(6—527—4)

---

# სანერგე ამერიკულ ვაზისა

„კლო ეგურული“ ქუთაისში.

## ● უდიდესი ასორტიმენტი რუსეთში ●

1200 ამერიკული, ევროპიული და აზიური სასმელ და საჭმელ ყურძნის ჯიში და გიბრიდები.

**მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ განმარტებანი და პრეის-კურანტები.**

აქვე იღებენ ბავშვებს სამეურნეო მუშაობის შესასწავლად. (0—6.—3)

---

# პროვოდნიკის

1897 წ. 1908 წ. 1888

# ამხანაგობა

## რ ი გ ა შ ი

სავაჭრო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

## ● იყიდება ნაღდად და ვალოვნით: ●

დარეზინებული წყალ გაუვალი **ზედა ტანისამოსი**
სულ ახალ საზღვარ-გარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიებისა. ხოლო იაფ ფასამდის.

დარეზინებული **წამოსასხმები და პალტოები** ბ-ნთ ოფიცერთათვის;

დარეზინებული **მატერია** სხვა და სხვა მიზნისთვის;

**რეზინის ლრუბელი;**

**სავარცხლები** რქის რეზინისაგან;


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ს. აბლაძე.**